ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№72 (1510) 30 დეკემბერი, 1996 წელი

# გილოცავთ ახალ წელს!

## ნუგზარ ფოფხაძე:
## პატიაშვილს ვგონებ კუდზე ჰყავდა გამობმული გუმბარიძე და ისე მიათრევდა წინ.
## ფაქტები? ინებეთ!



* * *

მე, ზოგიერთები, განსაკუთრებით უმცროსები, ახლაც მეკითხებიან, თუ რატომ ჩავუკეტე პატიაშვილს კარი და არ გავუშვი 8 აპრილის ღამეს მომიტინგეებთან შესახვედრად; მართლა ჩამოვახიე პიჯაკის ორივე სახელო, თუ ერთი მაინც დავუტოვე...

კაცი, რომელსაც რესპუბლიკის პირველკაცობის ქრონიკული პრეტენზია აქვს, ასეთ ჭორს რომ გაავრცელებს ან გაავრცელებინებს, დეზერტირების ბაზრის ჭორიკანა დედაკაცებს რაღა ჭკუა მოვკითხო.

დავმდგარიყავი მაშინ რუსთაველზე და ყველა გამვლელისთვის მემტკიცებინა, რომ ვერ მოვერეოდი პატიაშვილს, ორჯერ ჩემზე მაღალი და სამჯერ ჩემზე მეტია წონით-მეთქი?!

* * *

„ბებერ მგელს“ ალექსი ინაურს (36 წლის განმავლობაში უცვლელად რომ იჯდა რესპუბლიკის ზედამხედველის სავარძელში და, ძველი დამსახურებებისა გამო, პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა კრემლის ბინადრებთან) დიდად არ აწუხებდა, თუ რას იფიქრებდა რომელიღაც მოსკოველი მოხელე მასზე.

გუმბარიძისთვის კი, როგორც დამწყები „დამსმენისთვის“, ამას სერიოზული და პერსპექტიული მნიშვნელობა ჰქონდა.

მე-2, 4, 8 გვერდი

## გალაკტიონ ტაბიძე
## «მთაწმინდის მთვარე»

მეხუთე გვერდი

## მომდევნო ნომერში:

## ცხრამეტი მწარე შეკითხვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს

ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 6 იანვარს

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# ნუგზარ ფოფხაძე: პატიაშვილს ვგონებ კუდზე ჰყავდა გამობმული გუმბარიძე და ისე მიათრევდა წინ. ფაქტები? ინებეთ!

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" № 71.



თქვენს გაზეთში ხომ დიდი ანშლაგით მიეცით „ფანტასტიკური" ცნობა იმის შესახებ, რომ, თურმე, „დეპეშები, რომლებიც წაიკითხეს მოსკოვში, სესიაზე, საქართველოს უშიშროების კომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელის გუმბარიძის მიერ ყოფილა შედგენილი".

თქვენთვის ეს „ახალი" ამბავია?

გჯერათ, რომ – პატიაშვილისთვისაც?

თუ, ეს არის ის „საიდუმლო", შვიდი წელია რომ გვპირდება მის „აფეთქებას" და ამით მთელ საქართველოს მოლოდინით აგიჟებს?..

– თქვენ რას ფიქრობთ, როგორ აფასებთ?

– მეტისმეტად იაფფასიანი სვლაა. თანაც მარტივი. და აი რატომ.

ოპოზიციის ბრალდებაზე, რომ იგი სუკის აგენტია, გუმბარიძეს ერთ თავყრილობაზე უპასუხია: აგენტი კი არა, გენერალი ვარ, აგენტები მანდ სხედხართო!

იუმორის გრძნობას ვერ დაუწუნებთ გუმბარიძეს. ნაწილობრივ სიმართლეც თქვა. აბა, გენერალი და საქართველოს „სუკ-ის" შეფი მოსკოვში რომ დეპეშებს გააგზავნიდა, ეს რატომ უნდა იყოს გასაკვირი ვინმესთვის, მით უმეტეს ისეთი ბიოგრაფიის მქონე ფუნქციონერისთვის, როგორიც ცეკას ყოფილი პირველი მდივანია.

მაგრამ იგი, ამ შემთხვევაშიც, სრულიად შეგნებულად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. თანაც პირველად არ შვრება ამას. გახსოვთ ერთი ცნობილი მაქსიმა: იცრუე, ხშირად თქვი რაც შეიძლება დიდი ტყუილი, როდესმე მაინც დაგიჯერებენო.

– რაში სჭირდება პატიაშვილს ეს ე.წ. სიცრუე?

– პატიაშვილს ამ „აღმოჩენითაც" სურს დაამკვიდროს აზრი, რომელიც თავის დროზე გამიზნულად „შეუგდო" საზოგადოებას: თურმე, ცკ-ში, მთავრობაში, მნიშვნელოვანი რაღაცეები ხდებოდა... უმისოდ, ე.ი. პირველ ხელმძღვანელზე გვერდის ავლით! რომ მას ატყუებდნენ, მნიშვნელოვან საკითხებს უმალავდნენ შეგნებულად. და ეს კეთდებოდა ვილაცის დავალებით. აკი განაცხადა კიდეც თქვენს გაზეთში (2–5 დეკემბრი, 1996, №64), რომ „... 9 აპრილი ქართველი ხალხისა და რესპუბლიკის იმდროინდელი ხელმძღვანელის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების პირველი ეტაპი იყო".

ამ „ლოგიკით" მას თანდათან მიჰყავს საზოგადოება მისთვის მთავარ სათქმელთან – 9 აპრილის ტრაგედია მის გარეშე ჩაფიქრებულა, მომზადებულა და ჩატარებულა. და ცდილობს, პირდაპირ თუ ირიბად, საზოგადოებრივ აზრს საჯიჯგნად მიუგდოს მისგან განწირული ადამიანები.

მათ შორის, აშკარაა, პატიაშვილი მეც მგულისხმობს. თუნდაც ამიტომ ვარ ვალდებული ამ თემას დაწვრილებით შევეხო.

მაგრამ პირადულის გარდა, არის უფრო სერიოზული მიზეზი, რის გამოც „მოკლედ ვერ მოვჭრი". საზოგადოებრივ ცნობიერებაში ასეთი „ახალი", თანაც ყოვლად საეჭვო სტერეოტიპების დამკვიდრება, მათი სულ მცირე შედეგიანობის შემთხვევაშიც (საპრეზიდენტო არჩევნებმა კი დაადასტურეს, რომ ელექტორატის თითქმის მეხუთედს ამ თესლისათვის ნიადაგი მომზადებული ჰქონია), რეალური საფრთხე ელის ერის კონსოლიდაციის პროცესს, ჩნდება გარკვეული პერსპექტივა ყველაზე „მამალი" კონსერვატიზმისთვის, ეჭვს ქვეშ შეიძლება დადგეს ქვეყნის დამოუკიდებლობაც კი. ამიტომ, ამ თეზის პროვოკაციული არსის გამოაშკარავება აუცილებელი. ვინაიდან ამ შემთხვევაში საზოგადოებრივისა და პირადულის დამთხვევა ხდება, „კუდის ქიცინისთვის" ნამდვილად არ მცხელა.

ჩემს ადგილზე „დიპლომატიაზე" თუ იფიქრებდით, როცა წაიკითხავთ ისეთ „მარგალიტებს", რომელსაც აფრქვევს პატიაშვილის ერთ-ერთი „მარჯვენა ხელი" საპრეზიდენტო არჩევნებამდე 4–5 დღით ადრე გაზეთ „ალია-ში": 9 აპრილის ამბებში პატიაშვილის როლი უმნიშვნელოა, იმასთან შედარებით, რაც ჩაიდინეს გუმბარიძემ, გორგოძემ და ფოფხაძემ! არც მეტი, არც ნაკლები! ვაცხადებ, მოულებელია' ჩემთვის ასეთ „კომპანიაში" ყოფნა!

მესმის პატიაშვილის გაჭირვება, რომ გაუძნელდა უდიდესი ცოდვის ტარება და ე.წ. „მკვლელის" საკუთარი იარლიყი სხვებთან ერთად უნდა მეც მიწილადოს. მაგრამ, ეს ხომ სოიოს ბაყე არ არის, სიამოვნებით რომ მივირთვა.

მე და ჩემმა ახლობლებმა რომ ვიცით ის, თუ რა უსამართლოდ იქცევა პატიაშვილი ჩემს მიმართ, სრულებით არ არის საკმარისი იმისთვის, რომ საზოგადოებამ „მამა აბრამის ბატკნად" აღმიქვას. თავის დროზე, მისი და მისი „გვარდიის" მცდელობა, ლაფში ამოესვარათ ზოგიერთი, მათ შორის ჩემი სახელიც, სამწუხაროდ, წარუმატებელი არ აღმოჩნდა. მე, ზოგიერთები, განსაკუთრებით უმცროსები, ახლაც მეკითხებიან, თუ რატომ ჩავუკეტე პატიაშვილს კარი და არ გავუშვი 8 აპრილის ღამეს მომიტინგეებთან შესახვედრად; მართლა ჩამოვახიე პიჯაკის ორივე სახელო, თუ ერთი მაინც დავუტოვე...

კაცი, რომელსაც რესპუბლიკის პირველკაცობის ქრონიკული პრეტენზია აქვს, ასეთ ჭორს რომ გაავრცელებს ან გაავრცელებინებს, დეზერტირების ბაზრის ჭორიკანა დედაკაცებს რაღა ჭკუა მოვკითხო.

დავმდგარიყავი მაშინ რუსთაველზე და ყველა გამვლელისთვის მემტკიცებინა, რომ ვერ მოვერეოდი პატიაშვილს, ორჯერ ჩემზე მაღალი და სამჯერ ჩემზე მეტია წონით-მეთქი?!

მიჭირავს თქვენი გაზეთი ხელში, ვკითხულობ პატიაშვილის პასუხებს და თვალებს არ ვუჯერებ – ნუთუ ის მართლა ფიქრობს, რომ „მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიის განთავისუფლების" კომპლექსური გეგმა შეადგინა მაშინდელი ცკ-ს იდეოლოგიურმა განყოფილებამ. თქვენს მიერ ჩემდამი დასმულ ერთ-ერთ შეკითხვაში სწორად შენიშნეთ: რა თქმა უნდა, ისევ მე მგულისხმობს.

აქამდე ყველამ ვიცოდით და ეს ცოდნა განმტკიცებული იყო ოფიციალური დოკუმენტებით და მისივე არაერთგზის აღიარებით, რომ ეს გეგმა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამხედრო ოლქის შტაბის მიერ იყო შედგენილი, რომელიც დაამტკიცა თავდაცვის საბჭომ თვითონ პატიაშვილის ხელმძღვანელობით.

ახლა კი უნდა ვამტკიცო, რომ ეს აბსოლუტური სიცრუეა; რომ აქლემი არ ვარ; რომ არ ვყოფილვარ ამ საბჭოს წევრი, არავითარ საქმე მქონია ამ სტრუქტურასთან. მის სხდომებს ერთხელაც (!) არ დავსწრებივარ. მეტი რა ვთქვა, ქვის სროლას ხომ არ დავიწყებ.

სხვათაშორის, ამ „გეგმას" და 8 აპრილს იმ ცნობილი აქტივის კრების თემას ჩვენ კიდევ მოვუბრუნდებით.

...ხანდახან ვფიქრობ, რომ პატიაშვილს ვიღაცა საგანგებოდ ხომ არ უბიძგებს ასეთი შეცდომებისკენ-მეთქი. მაგრამ, რომ გამახსენდება, თუ რამდენი მისი გაუგებარი, ძნელად ასახსნელი ნაბიჯი, სრულიად უსაფუძვლოდ დამბრალდა მაშინ, ვითომდა ჩემი „რჩევების" გამო, აღარ მინდა ცოდვა ავიღო და რომელიმე მის „ახლანდელ მრჩეველს" რაიმე დავაბრალო.

არა, ეს აშკარაა, მისი „შემოქმედებაა", სხვასაც თვითონ წარმართავს. ის არის პირველი და უმთავრესი „მეცნიერული" წყარო, პირველი „ობიექტური" ინფორმატორი. ეტყობათ ეს მის „რეპორტებს", ვერცერთი მათგანი ვერ გავიხსენე. არსად, არც „წითლებისა" და არც „თეთრების" ბანაკში ისინი არ ყოფილან, მიტინგებზე არ გამოდიოდნენ, პრესაში მათი პუბლიკაციები კაცს არ უნახავს, საგამოძიებო კომისიის წევრთა თუ ექსპერტთა შორის არ ყოფილან. მაშ, საიდან ასეთი „ინფორმირებულობა", რის საფუძველზე ადგენენ ისინი ასეთ „რეიტინგებს"? თუ ოფიციალურ დოკუმენტებს ეყრდნობიან, მათში პატიაშვილი უპირველეს დამნაშავედ ცალსახად არის გამოცხადებული. დავუშვათ მეცნიერული არა, ჟურნალისტური კვლევა მაინც თუ ჩაატარეს, ხომ უნდა შემხვედროდნენ მე, სხვასაც...

ცხადია, ისინი დაკვეთას ასრულებენ, სწორედ მის დაკვეთას. ამისთვის, ალბათ, მათ უხდიან ან... მომავალში გადაუხდიან!

რა თქმა უნდა, „ინტელექტუალური უზრუნველყოფის" შტაბმა თავისი პატრონი მიმზიდველად უნდა წარმოაჩინოს. მაგრამ, ვინაიდან საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი ჯერ არ გამოთაყვანებულა, მეხსიერება შერჩა და თვალწინ უდგას 9 აპრილი, საჭირო გახდა ისეთი „იდეოლოგიური ზალპი", რომელიც პრეზიდენტის სავარძლის მაძიებელს მოკლე დროში მოაშორებს „მკვლელის", „მოღალატის", „ლაჩრის" და სხვა სამკაულებს.

ღმერთმა დამიფაროს იმის მტკიცებისაგან, რომ ეს და ბევრი სხვა იარლიყიც პატიაშვილს უცილობლოვ ეკუთვნის. პირიქით, გულწრფელად და დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ არა! უფრო მეტიც, ზოგიერთი ბრალდება იმდენად პროვოკაციულია (მაგალითად, ვითომდა მისი ალიანსი „კანონიერ ქურდებთან"), რომ ღირსებასაც კი მატებს მას. იმასაც ვიტყოდი, რომ ეს იარლიყომანია ჩვენი საერთო უბედურებაა, ჩვენი „ცივილიზებულობის" ბარომეტრიც კი გახლავთ.

მაგრამ, სერიოზული ეჭვი რომ არსებობს ზოგიერთი ვარაუდის საფუძვლიანობისთვის, ესეც დიდად სადავო არ უნდა იყოს. მესმის, რომ პატიაშვილს და მის „შტაბს", რომლებიც ხვალინდელი დღისთვის ემზადებიან, სერიოზულად აფიქრებდათ და აფიქრებთ ეს პრობლემა. მაგრამ, რატომ ცდილობენ ამ პრობლემის გადაჭრას სხვისი რეპუტაციის ხარჯზე, სიცრუის, ცილისწამების, უზნეობის ხარჯზე?!

მარტივად ამოსახსნელია სვლა, რომელიც მათ გააკეთეს საზოგადოებრივი აზრის პატიაშვილის სასარგებლოდ მოსატრიალებლად, როცა სხვა თემების პარალელურად შემოაგდეს ე.წ. „შეთქმულების", „დეპეშების" და „სხვისი გუნდის" თუზა „დაჩაგრული", „გალახული", „უსაფუძვლოდ გალანძღული" კაცის რეპუტაცია ყველგან და ყოველთვის იწვევს სიბრალულის გრძნობას. ეტყობა, ახლა საჭირო ხდება ამ განწყობილებების გაძლიერება, წინ ხომ არჩევნების ახალი ეტაპი იწყება. ამიტომ, სასურველია საზოგადოებამ (ე.ი. ელექტორატმა) იფიქროს და თქვას: საცოდავი პირველი მდივანი, რა დღეში ყოფილაო ამდენი ვერაგი, მატყუარა, მოღალატე და უჭკუო მრჩეველ-თანამშრომელთა ხელში?!

იმის მცდელობაში, რომ პატიაშვილის „უცოდველობის მითი" საბოლოოდ დამკვიდრდეს, ვერ ამჩნევენ, თუ რა შეურაცხყოფას აყენებს მას. სულ წყალში ჩაყარეს შარშანდელი წინასაარჩევნო კამპანიის დროინდელი ნაშრომ-ნაღვაწი, როცა პატიაშვილი წარმოაჩინეს, როგორც ბრძენი, შორსმჭვრეტელი, ხალხისთვის დამაშვრალი, მისთვის თავგანწირული მებრძოლი, ახალგაზრდობის კერპი, ჭეშმარიტი ეროვნული ლიდერი, რომელსაც შეუძლია ერის გამთლიანება, მისი კონსოლიდაცია, მისი პოლიტიკური და ზნეობრივი წინამძღოლობა.

საკითხავია, ასეთი იყო პატიაშვილი, თუ ეს თვისებები მას შემდეგ შეიძინა, რაც ცკ-დან გაუშვეს?

თუ ასეთი იყო, ამდენი მოღალატე, უჭკუო და ჰარი-ჰარალი კაცი რატომ დაიახლოვა და ქვეყნის ბედ-იღბალი რად ჩააბარა? როგორ დაუშვა ის, რომ „რესპუბლიკის და ქალაქის ხელმძღვანელობამ" პატარა ბავშვივით გააცურეს და მისი დავალებები „რატომღაც არ შეასრულეს", ხოლო ძალოვანი სტრუქტურების მის მიერ შერჩეულმა და დანიშნულმა ხელმძღვანელებმა გაუბედეს ის, რომ „კრიტიკულ მომენტში არ შეასრულეს თავიანთი სამსახურებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობა, რამაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი".

თუ ეს თვისებები შემდგომ შეიძინა, რა გარანტიაა იმისა, რომ კაცი, რომელიც საჯაროდ ისე ლუღლუღებს, როგორც ამ ციტატებში (იხ. გაზეთი „საქართველო", წლევანდელი დეკემბრის ნომრები), ერის ღირსეული წინამძღოლი იქნება?!

სხვათაშორის, თვითონ პატიაშვილიც, ეტყობა, მზად არის გასწოროს საკუთარი იმიჯი და, უკაცრავად პასუხია, მიამიტი, მოწუწუნე, მოტყუებული კაცის სახელი დაირქვას. თუ მას ეს მოსწონს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მისთვის ყველაფერი მემეტება. ოღონდ სხვებს ნუ ჩათვლიან ბრიყვებად?

ყოველი ძალით შევეცდები, არ დავუშვა ეს. ვერც დავუშვებ იმას, რომ ჩემი და რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელი, რომლის უმაღლეს პოსტზე არჩევასაც არაერთგზის გულწრფელად ავუწიე ხელი; რომლისთვისაც, ასევე გულწრფელად, უამრავი დრო და სულიერი ენერგია დამიხარჯავს; კაცი, რომელთანაც ახალგაზრდობაში ალალად ვთანამშრომლობდი, ასე „უსამართლოდ" აყენებდეს საკუთარ თავს შეურაცხყოფას.

უფრო მეტსაც ვიტყვი: თუ სხვა ვინმეს საკუთარი თავის მოტყუება ხელს აძლევს, ეს მისი პრობლემაა. მე კი იდიოტის როლში ყოფნა არად მეპიტნავება. ამიტომ საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ცკ-ში კი არა, მთავრობაში კი არა, მთელს რესპუბლიკაში ბუზიც კი ვერ აფრინდებოდა ისე, პატიაშვილს, სწორედ პატიაშვილს რომ არ სცოდნოდა, ან ვერ გაეგო.

გარწმუნებთ, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია ყველაზე და ყველაფერზე. პირველი მდივანი იმდენად იყო დაინტერესებული პირადად მიეღო ან მოესმინა დეტალებითა და წვრილმანებით აღსავსე სასურველი ინფორმაცია, რომ იქმნებოდა შთაბეჭდილება „ბინძური თეთრეულის" ქექვის რაღაც პათოლოგიური მოთხოვ-

გაგრძელება მე-4 გვ.

ეროვნული

## გაზეთ „საქართველოს" მთავარ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ, თქვენს წერილზე „ცდილობენ გაზეთ „საქართველოს" დახურვას" (იხ.გაზ. „საქართველო" №71 (1509) და კრწანისის რაიონის საგადასახადო ინსპექციისადმი თქვენსავე მომართვაზე გაცნობებთ, რომ ამა წლის 19 აგვისტოს თქვენთან შედგენილი აქტი სრულად გამომდინარეობს *კანონმდებლობიდან* და სავალდებულოა შესასრულებლად.

საგადასახადო ინსპექცია გარწმუნებთ, რომ არანაირი ძალა, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ჩვენი კანონიერი გადაწყვეტილების შეცვლაზე, პრაქტიკულად არ არსებობს. ამდენად, მინიშნება იმაზე, რომ თითქოსდა თქვენი წინასაახალწლო განწყობილების შექმნაზე „იზრუნეს" ზედა ეშელონებში, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება სინამდვილეს, და საგადასახადო ინსპექცია თქვენთან ერთად (ვფიქრობთ, ამ წერილის შემდეგ) იზიარებს პასუხისმგებლობას „იმ წინასაახალწლო განწყობილების შექმნაზე", რომელიც სრულიად დაუმსახურებლად ერგო თქვენგან თქვენს მიერ ნაგულისხმევ ხელმძღვანელ მუშაკს.

დაბეჯითებით შეგვიძლია გაუწყოთ, რომ ვიდრე „სახელმწიფო ნამდვილი სიკეთის წყაროდ" არ იქცევა, მის სამსახურში მყოფი მოხელეები (ჩინოვნიკები), მათ შორის ჩვენც, ხშირად ვიქნებით თითქმის უსამართლო ლანძღვისა და შეურაცხყოფის ობიექტი, მაგრამ, როგორც დათა თუთაშხიაშია — „აქა ვდგევართ და სხვარიგად არ ძალგვიძს".

ინსპექციის უფროსი
თ.დათიაშვილი

*რედაქტორისაგან: მიხეილ ჯავახიშვილს ახლადწაკითხულ ტექსტებზე თავისი აზრის გამოსახატავად ერთი სიტყვის მიწერა ჰყვარებია.*

*ვთქვათ ასე: თუ რამ აღაშფოთებდა, არშიაზე წააწერდა — „დურრაკ". მოწონების შემთხვევაში კი — „ყოჩაღ!"*

*ამ პატარა ბარათით იმდენ ნიუანსს ეხება, მეც ისე კულტურულად და რაც მთავარია, ნიჭიერად მამუნათებს სახელმწიფო მოხელე, რომ გაგულისების ნაცვლად თ.დათიაშვილის ტექსტს წავაწერე — „ყოჩაღ!" „აეწყოს!"*

*აეწყო და დაიბეჭდა კიდეც.*

*ამასთან არ შემიძლია არ დავსძინო, როგორც რაინდიძე გაფცქნა სოლომონ ისაკიჩმა, ანუ კაპიკების ნაცვლად ათასები გადააშვლიპა, იმგვარივე კანონით ექცევა ხალხს ეს ჩვენი საგადასახადოც. კანონის აღმასრულებელს რას ვერჩი, ამ კანონის შემომქმედთა პორტრეტზე კი ალყაზბეგი ასე მიაწერდა: „დავწვი თქვენი სამართალი, თქვენი კანონდებულება"-ო.*

*მიხეილ ჯავახიშვილი კი ასე — „დურრაკ!", ხოლო „დურაკები" იმდენად ბევრნი არიან, ჩემს წინა რეპლიკაში კონკრეტულად ერთს ვერც ვგულისხმებდი და არც ვგულისხმობ...*

ნოდარ გრიგალაშვილი

# მოდა?! კულტურა. აურა...

## მოდა, მასზედ სწორი წარმოდგენები და ევოლუცია

თანამედროვე სამყარო სრული დაჯერებით ავითარებს მცნებას მოდის შესახებ, რადგან ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ მოდა კულტურული მოვლენაა, თვით კულტურის მსახურებას წარმოადგენს. ამ კუთხით მიღებული ეს მცნება გატეხილ სარკესავით მრავალ ნამსხვრევებად დაიფანტა და დაიბადა არა მარტო ტანსაცმლის, არამედ ვარცხნილობის, სუნამოს, ჰალსტუხის, წვერ-ულვაშის, მანქანების, მანერების, ტანის ფორმის (კულტურიზმი), სიტყვა-პასუხის (სლენგი, ჟარგონი) და მრავალი და მრავალი სხვა მოდური მიმართულება, რომელთაც ჭეშმარიტ კულტურასთან არავითარი კავშირი არ აქვთ, უფრო მეტიც, კულტურის ანტიპოდები გახლავთ. რა თქმა უნდა, მოხდენილი ჩაცმულობა, სეზონისა და გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით აბსოლუტურად აუცილებელია და თუ ამასთან ეროვნულ ტრადიციასაც მოვიშველიებთ, მით უფრო კარგი. მაგრამ, როდესაც ჩაცმულობა მთლიანად ემსახურება ეროტიკულ დანიშნულებას, და არა მარტო პიკანტური დეტალია საამისოდ გათვალისწინებული, არამედ მთლიანად ჩაცმულობის იდეა ემსახურება მას — ირღვევა არა მარტო ზნეობრივი ნორმები, არამედ თვით ეროვნული, გეოგრაფიული და სეზონური მომენტები ჩაცმულობისა. შეხედეთ, როგორ ცდილობს ჩაიცვას კულტურისტი — აუცილებლად მოკლემკლავებიანი (კუნთები უნდა ჩანდეს), ღრმად გახსნილი წინ და ძლიერ გამოყვანილი ტანსაცმელი — ეს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს აქვს რაიმე გამოსაჩენი და თუ დასამალია, ტანსაცმელი რადიკალურად იცვლება. ნაკლი ღრმად იმალება. ალბათ, უსასრულო ინდივიდუალურ მდგომარეობასთან ერთად უსასრულოა მაგალითები, მაგრამ არსებობს საერთო დამახასიათებელი ნიშნები და ყველაზე დამახასიათებელია ახალგაზრდობა და სიბერე. ახალგაზრდობა სრულიად განთავისუფლებულია შეზღუდვებისაგან, ოღონდ კი წარმოაჩინონ თავისი ახალგაზრდობა და როგორც უკვე მოგახსენეთ, მხოლოდ ერთადერთი კუთხით: მდედრი სქესი თავის სქესობრივ მიმზიდველობას უსვამს ხაზს; მამრი კი — თავის ფიზიკურ ძალას, ან ამასთან ერთად კიდევ სხვას, ვთქვათ, თავის მატერიალურ უზრუნველყოფას ან თავის „სიმავეს", თანამდებობას და მკვიდრდება ახალი მოდა, რომელიც სულ უფრო და უფრო ინილბება კულტურის გარეგნობით და ამ დროს კი კულტურასთან არავითარი საერთო არა აქვს. მაშ, რაღაა ეს კულტურა? თუ, იქნებ ჩვენ დავბერდით და აღარაფერი გვესმის?

არა, რატომ? ჩვენ ხომ ათასწლეულების მაგალითი გვაქვს იმისა, თუ რა არის ჭეშმარიტი კულტურა. სამოსელი უამრავჯერ გამოიცვალა კაცობრიობამ, მაგრამ ის უზენაესი, რისი ასახვაც სურდათ სამოსელში, — თუ, რა თქმა უნდა, მოდა პროგრესული იყო — ეს სულიერი სივრცის ნორმებია და მათ შორის უპირველესი არის ფერი. ფერს ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს სამყაროში და რაც უფრო ნაზია, მით უფრო ღვთიურია იგი. მჭახე, ჭუჭყიანი ფერი მიუღებელი იყო და საერთოდ ჭუჭყი. როგორც სიმდაბლის ნიშანი, მაღალ საზოგადოებაში მიუღებელი იყო. დღეს ჩამოძონძილი, ჭუჭყიანი, საგანგებოდ პიკანტურ ადგილებზე გამოგლეჯილი — მოდაა... რა გასაკვირია, რომ ასეთ პაპუასებს კულტურის ნასახი არ გააჩნიათ და თავიც ძლიერ მოსწონთ. მაგრამ კულტურა უკვდავი ფენომენია და კულტურა და მისი ანტიპოდი დღეს პარალელურად თანაარსებობენ საზოგადოებაში. ჩვენ მივუახლოვდით ამ წერილის იმ მომენტს, რისთვისაც დავიწყეთ იგი: მოთმინება, ბატონებო, მოთმინება! ტანსაცმელს, გრიმს, პარიკს, მაკიაჟს, თმის ფერს, ფაიფურის კბილებს, პირდაპირ ყბაში ჩაწნეხილს კი შეიძენს ადამიანი, მაგრამ აი იმ ფერს, რაზედაც მოგახსენებდით, როგორ შეიძენს? ტექსტილის ფაბრიკაში ახალი ტექნოლოგიებით?! კი, მაგრამ XX საუკუნეში ხომ გაჩნდა ის სიახლე, რომელიც ასე სურთ მოდის მოყვარულებს — აურა! აურა ადამიანის ნათებაა, ეს ნათება ყოველ ადამიანს გააჩნია და ნუ გეშინიათ, თქვენც გაქვთ. გაქვთ, მაგრამ როგორი? ისეთი, რაზედაც ფიქრობთ, რასაც მოიმოქმედებთ, რა ემოციურ მდგომარეობაშიც იმყოფებით, რა სიტყვასაც წარმოთქვამთ...

ხშირად მეკითხებიან: როგორი აურა მაქვს? ღმერთო ჩემო, რა თავმომწონენი არიან ამ დროს ისინი და რა იმედით შემყურებენ ისინი თვალებში და ელოდებიან ჩემგან. ოქროსფერი!!! ცისფერი!!. თეთრი!..

ვაგლახ!!!

აურა — სიტყვის, აზრის და მოქმედების შედეგია და ყველას, ვინც მაღალ ღვთაებრივ აზრს, სიტყვას და საქციელს მოიმოქმედებს, ნათელი აურა გააჩნია, მაგრამ შეიცვლება თუ არა ეს სამი ნიშანი, აურაც ბინძურდება, ჭუჭყიანდება, შავდება.

აი, ახლა კი გამოჩნდა კულტურის განმარტების მომენტი.

ისევე, როგორც ტანსაცმლის სისუფთავის დაცვა ჩვეულებრივი კულტურაა — აურის დაცვაც მაღალ აზროვნებაში, მაღალ სიტყვაობაში, კეთილ საქმიანობაში არის ჭეშმარიტი კულტურა. მხოლოდ ამ კულტურიდან გამომდინარე განისაზღვრება დანარჩენი კულტურული ფენომენი. ჩაცმა, მანერები, სიტყვა-პასუხი, ცოდნა, არქიტექტურა, პოეზია, მუსიკა და საერთოდ ხელოვნება, და თქვენ წარმოიდგინეთ — პოლიტიკაც!

როგორც ელეგანტურობას შეჩვეული ადამიანი ყოველთვის დარაჯობს თავის ელეგანტურობას, ასევე მაღალი აურით გაცნობიერებული უვლის თავის აურას და ესაა მხოლოდ ერთადერთი ღვთაებრივი კულტურა. არ არსებობს მცდარი ანდაზა და ზემოთაღნიშნულ აზრს შესანიშნავად იცნობს ქართული მენტალიტეტი: „მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო!" რატომ ჭილოფშიც?!

იმიტომ, რომ აურა ჭეშმარიტი არსის ჭეშმარიტებაზე მეტყველებს, რომელსაც ფერთა უმდიდრესი გამა ახასიათებს, რომელსაც ჭილოფი ვერ ფარავს. მართალია, ფერი არაა თვითმიზანი, არამედ ეფექტია სულიერი ჩაცმულობისა — კულტურისა, მაგრამ არსებობს ჭეშმარიტი ბუნების გამოხატვის მუდმივი ფორმები.

როდესაც ადამიანი მუდამ მაღალზნეობრივ მდგომარეობაში იმყოფება და მისი ზნეობა არ იცვლება ცდუნებასა და ზნეობრივ კულტურას შორის, — მას სუფთა, ლაქებისა და ჭუჭყის გარეშე აურა აქვს და ამ აურას ზნეობრივი აურა ეწოდება. როდესაც ადამიანი დაალწევს თავს უმეცრებას და ცოდნის სივრცეში შევა, მისი აურა ოქროს ფერებს იძენს და სრული ცოდნის ოკეანეში მას ბრწყინვალე ოქროს აურა აქვს, — ეს სიბრძნეა. როდესაც ადამიანი გაწონასწორებულია, როდესაც მისი შინაგანი მდგომარეობა ურყევია და საზოგადოების საყრდენად გადაიქცევა ნებისმიერი განსაცდელის ჟამს, — ეს უკვე მედიტაციაა, მუდმივი მედიტაცია.

ყოველი სამი მდგომარეობა უზენაესი სამოსელის ღვთიური მოდის აურის მომტანია და წარმოადგენს ჭეშმარიტ და ერთადერთ კულტურას.

თამაზ თავაძე

## შეიქმნა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა საბჭო

28 დეკემბერს გაიმართა აფხაზეთის და შიდა ქართლის პოლიტიკურ გაერთიანებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკონსულტაციო საკოორდინაციო საბჭოს პრეს-კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები ფრაქცია „აფხაზეთი"-ს თავმჯდომარე გ.ფაცაცია და ბ.კაკუბავა იყვნენ. აღნიშნული ორგანიზაცია შეიქმნა აფხაზეთიდან დევნილთა პოლიტიკური ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფის მიერ. საბჭოში გაერთიანებულია 11 ორგანიზაცია: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის მოძრაობა „ჭყონდიდელი", ფრაქცია „აფხაზეთი" და ა.შ.

როგორც სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭოს წევრმა გ.გელაძემ განაცხადა, „ბლოკში ჩვენი გაერთიანება აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან დევნილებმა იციან, რომ მშობლიურ ადგილებში დაბრუნება მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი ძალებით არის შესაძლებელი". აღინიშნა, რომ საბჭოს არ ეყოლება ერთი ლიდერი, იქნებიან თანათავმჯდომარეები. (იფრინდა)

## სამეთაურო-საშტაბო სწავლებები გონიოს სამხედრო პოლიგონზე

თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ.დრობინმა, დადგენილი წესის თანახმად, შეტყობინება გამოუგზავნა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ვ.ნადიბაიძეს, რომელშიც აცნობებს, რომ 20 იანვრიდან გონიოს სამხედრო პოლიგონზე ჩატარდება ბათუმში დისლოცირებული რუსეთის მეთორმეტე სამხედრო ბაზის 6 დღიანი სამეთაურო-საშტაბო სწავლებები. მასში მონაწილეობას მიიღებს 444 კაცი, 18 ჯავშანტრანსპორტიორი, 72 ავტომობილი და 40 რადიოსადგური. (იფრინდა)

## აფხაზური მხარე საფოსტო და სატელეგრაფო კავშირის საქართველოსაგან დამოუკიდებლად განხორციელებას მოითხოვს

ქართულ-აფხაზურ კონსულტაციებზე აფხაზური მხარე გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების უმთავრეს პირობად აყენებდა რუსეთთან, დსთ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან სატელეგრაფო და საფოსტო კავშირის აღდგენის საკითხს. როგორც ცნობილია, ამჟამად ეს კავშირი საქართველოს გავლით ხორციელდება, რაც სავსებით შეესაბამება დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს ა.წ. იანვრის თვის გადაწყვეტილებას. აფხაზური მხარე კი მოითხოვდა, რომ აღნიშნული კავშირი საქართველოსაგან დამოუკიდებლად განხორციელებულიყო. ამ პირობაზე ქართული მხარე არ თანხმდება, ვინაიდან აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. (იბერია)

## სტუმრები ქალთა კოლონიაში

შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, 28 დეკემბერს ქალთა კოლონიას ეწვივნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის რეფორმის" წარმომადგენლები საპარლამენტო პენიცენტიალურ საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ე.თევდორაძის ხელმძღვანელობით. მათ დამდეგი ახალი წელი მიულოცეს პატიმრებს და საჩუქრად გადასცეს საპატრიარქოს მიერ ნაჩუქარი სალმრთო წიგნები, ორგანიზაცია „ციხის რეფორმის" მიერ გამოცემული წიგნი „ციხის რეფორმა ჩემთვის" და ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ევრაზიის" მიერ გამოგზავნილი დიდი რაოდენობით მედიკამენტები. არასამთავრობო ორგანიზაციის დელეგაციაში იყო საქართველოში სტუმრად მყოფი ნოე ჟორდანიას შვილიშვილი ხათუნა ჟორდანია. მან კოლონიას საჩუქრად გადასცა კრებული „სად მიდის გზა", რომლის პრეზენტაციაც იქვე შედგა. (იფრინდა)

## საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების საახალწლო საჩუქრები

შიდა ქართლის მხარის როგ რაიონებში საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა საახალწლო საჩუქრები შეიტანეს. კერძოდ, ორგანიზაცია „დანიის კრისტასი" კასპის რ-ნში მცხოვრებ ლტოლვილებსა და მოსახლეობას დაურიგებს ფქვილს, ზეთს, შაქარს. ამერიკული ფირმა „ქაუთუნფართი" გორში სასკოლო ასაკის ბავშვებს საჩუქრად გადასცემს 5000 ცალ ქურთუკს. აღნიშნული ფირმის გენ.დირექტორმა რებეკა ბრაკენმა საჩუქრების გარკვეული ნაწილი უკვე გადასცა ატენის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს და გორის შს სამმართველოში აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვანებს. (იფრინდა)

## გაიმართება გამაფრთხილებელი აქცია

აფხაზეთის ახალგაზრდული კავშირის წევრის ირაკლი ქასრაძის ინფორმაციით, 31 იანვარს, 12.00 სთ-ზე „იმელის" შენობასთან, აფხაზეთის ახალგაზრდული კავშირი გამართავს გამაფრთხილებელ აქციას აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. (იბერია)

## საქართველოს მასშტაბით იმუშავებს 18 უფასო სასადილო

1997 წელს საქართველოს მასშტაბით იმუშავებს 18 უფასო სასადილო, რომელიც ყოველდღიურად სადილით გაუმასპინძლდება 14420 უმწეო ადამიანს. (იბერია)

## გრძელდება კონსულტაციები ქართულ, აფხაზურ და რუსულ მხარეებს შორის

სააგენტო „იბერიას" ზუგდიდის რაიონის გამგეობიდან აცნობეს, რომ გრძელდება კონსულტაციები ქართულ, აფხაზურ და რუსულ მხარეებს შორის. კონსულტაციების ძირითად თემას წარმოადგენს აფხაზეთის სამშვიდობო ოპერაციების შტაბის ქალაქ ზუგდიდში გადატანასთან დაკავშირებული საკითხები. აფხაზური მხარე ამაზე არ თანხმდება. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ 1994 წელს ხელმოწერილ დოკუმენტებში დაფიქსირებულია საქართველოს თანხმობა, რომ სამშვიდობო ოპერაციების შტაბი ყოფილიყო აფხაზეთის ტერიტორიაზე.

# ნუგზარ ფოფხაძე: პატიაშვილს ვგონებ კუდზე ჰყავდა გამობმული გუმბარიძე და ისე მიათრევდა წინ. ფაქტები? ინებეთ!

მეორე გვერდიდან

ნილების თაობაზე. ამ სურვილის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა არა მარტო სპეციალური აპარატი, არამედ „მოხალისეთა“ და ახლობელთა მთელი არმია თუ არა, პოლკი მაინც. თანაც, არავითარი გარჩევა მეთოდებისა, არავითარი სინდისის ქენჯნა. ვინ დაგიდევდა რაღაც „გარდაქმნის ღირებულებებს“ თუ „ადამიანის უფლებებს“?!

ძველი სუკის თანამშრომლები და ნაცადი ხელმძღვანელები შინაურულ საუბრებშიც კი ერიდებოდნენ იმის აღიარებას, რომ უშიშროება დისიდენტებს უსმენდა, პატიაშვილი კი ცკ-ს ბიუროს წევრებთან „ტრაბახობდა“, რომ უსმენდნენ... რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ზოგიერთი წევრის სატელეფონო საუბრებს. ჩემი პროტესტის პასუხად კი ამ უკანონობას და უმსგავსობას დემაგოგიურად ხსნიდა სახელმწიფო (ანუ თავისი) ინტერესებით. უბედურება ის გახლავთ, რომ როცა ამას ლაპარაკობდა, პირველი მდივანი არც წითლდებოდა.

და ეს კეთდებოდა უშუალოდ მისი დავალებით.

ძნელი წარმოსადგენია, თუ ვინ იყვნენ შემსრულებლები?

მესმის და ვგრძნობ, რომ ჩემს არაკეთილმოსურნეთ ენის ქავილის საბაბს ვაძლევ. მაგრამ, ჯერ ერთი – დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ ყოველთვის, ყველა დროში, წინათ და ახლაც არა მარტო მითქვამს, არამედ, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამიკეთებია ასეთი უზნეობის და უკანონობის საწინააღმდეგოდ. ჩემი თანამდებობრივი მდგომარეობის კაცს ამის შესახებ მიტინგებზე უნდა მეყვირა?!. და მეორე – რა მოხდება, ცოტა ხნით მეც რომ ვიყო იმ როლში, ბოლო წლებში რომ სისტემატურად თამაშობს პატიაშვილი. ეგებ, ერთი-ორი კაცი წამოეგოს ანკესს და მეც მოვახერხო მათი გულის აჩუყება...

ჩემი მიზანი ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას ის არის, რომ არგუმენტირებულად დავარწმუნო მკითხველი პატიაშვილის არაგულწრფელობაში, როცა იმ „დეპეშების“ თემას ეხება.

რეალური სინამდვილე საქმეში ჩახედულთათვის მეტისმეტად მარტივია და ასე გამოიყურება: დეპეშებს ორივე აგზავნიდა იმიტომ, რომ ეს მათი მოვალეობა იყო. ოღონდაც, გუმბარიძე თავის დეპეშებს სუკს უგზავნიდა, პატიაშვილი – პოლიტბიუროს. ვიმეორებ, ორივენი თავ-თავიანთ საქმეს აკეთებდნენ.

ეს წესი, ჯერ კიდევ, სტალინის დროიდან იყო დადგენილი – ცენტრში აუცილებლად უნდა გაეგზავნილიყო პარალელური ინფორმაცია: ერთი – პარტიული, ხოლო მეორე – სუკის ხაზით. ეს იყო ტოტალური სახელმწიფოს ნაცადი მეთოდი, რომელიც მუდმივად მოქმედებდა, რათა კვლავ და კვლავ გადაემოწმებინათ ადგილობრივი ორგანოები, ხელმძღვანელები. ამით ცენტრი საქმის კურსში იყო იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებდა მართვის მექანიზმი, რამდენად ფლობდა ის მდგომარეობას, რამდენად რეალურად აფასებდა შექმნილ რეალობას და რამდენად გულწრფელად ატყობინებდა ბელადს (ცკ-ს, მთავრობას) საქმის ვითარებას, მოსახლეობის განწყობილებას და ა.შ. ამ გზით უნდა გამორიცხულიყო „თვალის ახვევა“. ამ ინფორმაციებით აფასებდნენ ხელმძღვანელი კადრების საქმიან და მორალურ თვისებებსაც.

სწორედ ამიტომ ჰგავდა პატიაშვილ-გუმბარიძის დუეტის დეპეშები წყლის წვეთებივით ერთმანეთს და ამაშიც ახალი და გასაკვირი არაფერია. ვინაიდან უფრო სანდოდ, როგორც წესი, სუკის ინფორმაცია ითვლებოდა, ცკ-ს ხელმძღვანელობა ცდილობდა დასესხებოდა სუკ-ს საინფორმაციო მასალას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პატიაშვილი, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყო იმით, რომ მოსკოვს საქართველოს ცკ-დან სუკთან შეჯერებული ინფორმაცია მიეღო. იგივე მოსაზრებით ამაში დაინტერესებული იყო გუმბარიძეც.

ეს მის წინამორბედს, „ბებერ მგელს“ ალექსი ინაურს (36 წლის განმავლობაში უცვლელად რომ იჯდა რესპუბლიკის ზედამხედველის სავარძელში და, ძველი დამსახურებებისა გამო, პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა კრემლის ბინადრებთან) დიდად არ აწუხებდა, თუ რას იფიქრებდა რომელიღაც მოსკოველი მოხელე მასზე.

გუმბარიძისთვის კი, როგორც დამწყები



„დამსმენისთვის“, ამას სერიოზული და პერსპექტიული მნიშვნელობა ჰქონდა. დაახლოებით ამ დღეში იყო პატიაშვილიც. ისინი უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს და სწრაფად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი თანამშრომლობა ორივეს „წისქვილზე მოუშვებდა წყალს“. ვინაიდან გუმბარიძეს, პატიაშვილთან შედარებით ინტელექტი უფრო „დახვეწილი“ აქვს, მან შედარებით „ღრმად“ გათვალა და თავის პარტნიორს „აყლაპა“: ის წინასწარ გზავნიდა მოხსენებას მოსკოვში, და მხოლოდ ამის შემდეგ უწილადებდა ცკ-ს ინფორმაციის იმ ნაწილს, რომელსაც თვითონ თვლიდა საჭიროდ.

პატიაშვილი, რა თქმა უნდა, ხვდებოდა ამ „გველობას“, მაგრამ რა დარჩენოდა – იძულებული იყო „ნარჩენებს“ დასჯერებოდა, რამეთუ, მიუხედავად ასეთი „ალიყურისა“, ინფორმაციების ნაწილობრივი „დამთხვევა“ მაინც მატებდა „წონას“ და „დამაჯერებლობას“ მის მოხსენებებს. საბოლოო ჯამში, ორივე კმაყოფილი რჩებოდა. მათი, როგორც გულწრფელი, ერთგული და მზარდი ხელმძღვანელი კადრების, ავტორიტეტი მოსკოვის თვალში იზრდებოდა და მტკიცდებოდა.

ასე დეტალურად ამ თემას იმიტომ შევეხე, რომ დეპეშების „საავტორო პატენტი“ მარტო გუმბარიძეს არ ეკუთვნის. მინდა დავიცვა ცკ-ს პირველი ხელმძღვანელების „საავტორო უფლებებიც“, ვინაიდან ჩემთვის უდავოა ის, რომ ამ „შემოქმედებითი თანამშრომლობის“ ინიციატორი ცკ-ს ხელმძღვანელობა იყო. მოგვიანებით, 9 აპრილთან დაკავშირებული ერთი დეპეშის მაგალითზე, მკითხველი, ალბათ, დარწმუნდება ამ ვერსიის საკმაო საფუძვლიანობაში.

გუმბარიძის დაცვა, როგორც მკითხველი შეატყობს, არავითარ სიამოვნებას არ მგვრის, მაგრამ ობიექტურობა მაიძულებს ერთი რამ მაინც ვურჩიო პატიაშვილს: მაინცდამაინც ნუ გაალიზიანებს გუმბარიძეს (სხვასაც!). ვაითუ მანაც აღარ მოზომოს და ალაპარაკდეს?!

და კიდევ: გუმბარიძეს ცოდვების დამატება და დამძიმება აშკარად არ სჭირდება, მით უმეტეს – პატიაშვილისგან, რამეთუ იგი, თავისი ტალანტით, ერთგულებით და ურცხვობით, მისივე „გუნდის“ ყველაზე გამორჩეული წევრი იყო და რომელიც თითქმის ბოლო მომენტამდე მისი ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა...

ამიტომ არის გუმბარიძე პატიაშვილის მოუშუშებელი იარა. მას საკუთარი თავისთვის ვერ უპატიებია, რომ ასე უმოწყალოდ შეცდა გუმბარიძეში და, ეს „გაცოფება“ რომ დამალოს, მის დაწინაურებას სხვას აბრალებს.

**– საზოგადოებაში ეს აზრი მართლაც ტრიალებს...**

– იტრიალებს, რა თქმა უნდა. პატიაშვილს 9 აპრილის შემდეგ არაერთგზის „დაუჩივლია“ და გაავრცელებინა კიდეც აზრი, თითქოს გუმბარიძის და კიდევ ვიღაც-ვიღაცეების კანდიდატურები მას მოსკოვიდან მოახვიეს თავს ქარაგმებით, რა თქმა უნდა, აქაც შევარდნაძე იგულისხმება.

მოდით, სიცხადე შევიტანოთ ამ სატყუარაშიც.

სხვების, მათ შორის, ჩემს შესახებ საუბარი სხვა დროს გადავდოთ, გუმბარიძის თაობაზე კი ახლავ მოგახსენებთ.

ეს დეზინფორმაციაც – პროვოკაციული, გათვლილი და შორსგამიზნული, შეიძლება დაიჯერონ მხოლოდ მიამიტმა ადამიანებმა. მისი ქვეტექსტიც ადვილად ამოსაკითხია: რა ექნა ამ საწყალ პატიაშვილს, როცა ასეთ გადამწყვეტ თანამდებობებზეც კი თავისი შეხედულებისამებრ კაცის დანიშვნას არ ანებებდნენ.

აქაც სკოდავს ყოფილი პირველი მდივანი. უფრო დაწვრილებით და ფაქტობრივად ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ჩვენ იმ შეკითხვაზე პასუხში გავაშუქებთ ზოგადად, საგაზეთო ნუსხაში მე-6 ნომრით რომ არის აღნიშნული. მანამდე კი უყოყმანოდ ვაცხადებ: პატიაშვილს გუმბარიძის დაწინაურება თუ არ უნდოდა, ბუზსაც ვერავინ აუფრენდა, უბრალოდ, ეს დანიშვნა არ მოხდებოდა.

პირიქით, პატიაშვილს, ვგონებ, კუდზე ჰყავდა გამობმული გუმბარიძე და ისე მიათრევდა წინ. ზესტაფონის რაიკომის მდივანს მოკლე დროში ისეთი თავბრუდამხვევი კარიერა გააკეთებინა, რომლის ანალოგს, ალბათ, ვერც მოძებნით საქართველოს საბჭოურ პერიოდში.

ფაქტები?

ინებეთ: 1985 წლის სექტემბრიდან 1989 წლის 14 აპრილამდე – ცკ-ს ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე, საორგანიზაციო განყოფილების გამგე, პარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე!..

არა მგონია პატიაშვილს სჭირდებოდეს იმისი შეხსენება, თუ ვისი რეკომენდაციით წამოიყვანა გუმბარიძე ზესტაფონიდან. მაგრამ ჭორებს რომ ბოლო მოეღოს, ვიტყვი: გუმბარიძის რეკომენდატორები იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შ.გორგოძე და სხვ. გორგოძე წარმოშობით ზესტაფონის რაიონიდან არის და მჭიდრო კავშირი ჰქონდა მშობლიურ სოფელთან. კვირა არ გავიდოდა, რომ მოხუცი დედა და ახლობლები არ მოენახულებინა. ზესტაფონის რაიკომის მდივანი გუმბარიძე რატომ გაუშვებდა შანსს გაეღრმავებინა ნაცნობ-მეგობრობა გავლენიან მოხელესთან. მითუმეტეს, ადრე, ცენტრალური კომიტეტის აპარატში მუშაობისას, მასთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამ რეკომენდაციაში ვერავითარ საძრახისს ვერ ვხედავ.

გუმბარიძის დაწინაურების საბაბს და მიზანს კი პატიაშვილს აუცილებლად შევახსენებ. არა მარტო იმიტომ, რომ სიუჟეტისთვის საინტერესოა, არამედ იმიტომ, რომ პრინციპული მნიშვნელობისა გახლავთ. ის მეტყველებს მისი საკადრო პოლიტიკის ზნეობრიობასა და კონიუნქტურულობაზე. და, რაც მთავარია, კიდევ ერთ არგუმენტს შევმატებ ჩემს დასკვნას, მისი არაგულწრფელობის შესახებ.

მაშინდელი სურათი ასეთია: ფინიშზე გადის „ხაბეიშვილის საქმე“. პერსპექტივაშია მისი სასამართლო, სხვა „სპექტაკლებიც“. ადმინისტრაციული ორგანოების კურატორი, ამ შემთხვევაში, მეტისმეტად მნიშვნელოვანი, საკვანძო ფიგურაა. იგი უშუალოდ ექვემდებარება პირველ მდივანს, პრაქტიკულად მისი სახელით მოქმედებს. ამ პოსტზე საჭიროა ისეთი კაცი, რომელიც, როგორც მაშინ ერთი პოეტი ხუმრობდა, ახლობელთათვის „შინაური“ იქნებოდა, უცხოთათვის – „ინაური“. შევარდნაძის დროინდელი განყოფილების გამგე ნ.საჯაია ასეთ კაცად ბოლომდე არ ეგულებათ.

მაშ, ვინ?

გუმბარიძე. წყნარია, ენაჭარტალა არ არის, სულ თვალებში შესციცინებს ვისაც ჯერ არს. თანაც, იგი ადრე ამ განყოფილებაში მუშაობდა, სფეროს იცნობს, ნდობის მანდატიც აქვს მოსკოვის შესაბამის დანაყოფში. (არის კიდევ ერთი არგუმენტი, მაგრამ ამაზე სხვა დროს, მთლად ხომ ვერ განვაიარაღებ თავს მომავალ ოპონენტებთან შესაძლო დისკუსიისათვის).

პატიაშვილი ეთანხმება რეკომენდატორებს, რადგანაც მასზე მათი გავლენა დიდია – მათ ხელშია „ხაბეიშვილის საქმის“ გასაღები, ე.ი. მისი „სულის სიმშვიდე“.

მეტნაკლები სიზუსტით, ასეთი იყო გუმბარიძის დიდი კარიერის დასაწყისი. ახლა იქით გეკითხებით: რა შუაშია აქ მოსკოვი, შევარდნაძე?...

**– როგორც თქვენინაამბობიდან უკვე ჩანს, გუმბარიძეს შემდგომ პატიაშვილის დიდი ნდობა მოუპოვებია...**

– სულ ცოტა ხანში გუმბარიძე პატიაშვილის აჩრდილად, მის მეორე „მე“-დ მოგვევლინა. ახლა მკითხავთ, რით დაიმსახურა სულ სხვის თანაშემწეობაში და ინსტრუქტორობაში გაზრდილმა მომღიქვნელო „ბიჭმა“ პატიაშვილის ესოდენი ნდობა და წყალობა?

გიპასუხებთ ცალსახად: უზნეო დავალებების უყოყმანო შესრულებით.

განათლებული სხვაც იყო, კარგი მანერების მქონე და სიმპათიურიც, მაგრამ ასეთი „ტარანი“, მიზანსწრაფული და მოურიდებელი, ცოტა გახლდათ. პატიაშვილის ჯგუფის სხვა „დიდოსტატებისგან“ განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ კულისებში, მხოლოდ „ანონიმკებზე“ მუშაობდნენ და ენატანიობით „ართობდნენ“ შეფს და საკუთარ თავსაც, ნდობითა და თანამდებობით გალაღებული გუმბარიძე შრომობდა, უტევდა, თანაც არ მალავდა თავის აქტიურ პოზიციას. პირიქით, მას უნდოდა ყველას სცოდნოდა, რომ ის უკვე დიდი ხანია აღარ არის „ხელის ბიჭი“, რომელიც ადრე მხოლოდ სხვისი დავალებით და მხოლოდ სხვისთვის [illegible]. ახლა ის თვითონ [illegible] ფიგურა, არა მარტო პოლიტიკის გამტარებელი, არამედ მისი ერთ-ერთი შემოქმედიც. არ მახსენდება არცერთი მის მიერ წარმოთქმული იმდროინდელი ფრაზა, რომელშიც არ ფიგურირებდეს „ჯუმბერ ილიჩი“. ამოცანა ის იყო, რომ ყველას შეეგნო – ის და „ილიჩი“ – ერთი ცნებაა.

ბევრმა შეიგნო კიდეც! მისი უკვე ეშინიათ. ბიუროს ზოგიერთ წევრს ჯერ კიდევ უწევს ანგარიშს, ზოგთან კი ლაპარაკსაც აღარ კადრულობს, რამეთუ კარგად იცის: მთავარია „ჯუმბერ ილიჩი!“

სწორედ მისგან ითვისებს ურთიერთობისა და აპარატული „თამაშის“ მხოლოდ მისეულ ფილიგრანულ წესებს – ცინიზმის, სადიზმამდე მისული ვერაგობისა და „კარგიბიჭობის“ სახელის შერწყმას (?!). ერთობ ამართლებს ზესტაფონელ ენაკვიმატთა მიერ რაიკომის პირველმდივნობის დროს მისთვის „სიყვარულით“ შერქმეულ ზედგამოჭრილ მეტსახელს – „უსიცხო ანთება“.

პატიაშვილს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს ასეთი რჩეული. მისი მეშვეობით მოსკოვში „უშვებს“ აქაურ და იქაურ პოტენციურ მოწინააღმდეგეებს (მქონდა საშუალება პირადად დავრწმუნებულიყავი ამაში, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში ხანმოკლე მუშაობისას მოვახერხე ამ „შემოქმედების“ გაცნობა), ხოლო შინ – ავრცელებს ნებისმიერ სასურველ ჭორს, ანგარიშს უსწორებს და აფრთხობს არაკეთილმოსურნეთ და „ადგილზე სვამს“ მოხტუნავეებს. პატიაშვილი იმდენად დარწმუნებულია მის ერთგულებაში, რომ აღარ ეშინია მისი აშკარა ქების, გვერდიდან აღარ იშორებს, მხოლოდ მას იწვევს ყველაზე მნიშვნელოვან და კონფიდენციალურ შეხვედრებში მონაწილეობისთვის.

...9 აპრილამდე ცოტა ხნით ადრე, თებერვლის შუა რიცხვებში, საქართველოში საგანგებო მისიით ჩამოდის პოლიტბიუროს წევრი ალექსანდრე იაკოვლევი. პატიაშვილი მას ბაკურიანში ეპატიჟება და თან მიჰყავს მხოლოდ გუმბარიძე. ამაში არაფერი ჩანს საეჭვო, რადგანაც „სუკის“ შეფი მოვალეც არის პირადად უზრუნველყოს პოლიტბიუროს წევრის უსაფრთხოება. იქ, „კოხტა გორაზე“, პატიაშვილი დაბეჯითებით უმტკიცებს ფრიად გავლენიან სტუმარს, რომ გუმბარიძე ქართული პოლიტიკის ამომავალი ვარსკვლავია, ყველაზე გამორჩეული და მომზადებული.

შემდგომში იაკოვლევი მოიგონებს ამ შემთხვევას და იტყვის: ეს არ იყო სადღეგრძელო! გამოცდილმა პოლიტიკოსმა დაინახა პატიაშვილის კარგად გათვლილი სამომავლო სვლა. სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ ჯგუფებთან შეხვედრის შემდეგ, იაკოვლევისთვის ნათელი ხდება, რომ პატიაშვილთან დაპირისპირებული მარტო არაფორმალები კი არ არიან, არამედ ინტელექტუალური ელიტაც; რომ მას სურვილი აქვს დროზე გაეცალოს არეულ რესპუბლიკას, ოღონდაც – დაწინაურებით და ერთობ გავლენიან სტუმარს მიანიშნა, რომ ღირსეული ცვლა მზად არის.

გუმბარიძეც არ თვლემდა თავის წინამორბედივით. მას ყურიც ცქვიტად ჰქონდა და თვალიც გახელილი. ის ფლობდა და იყენებდა მეტად საჭირო ინფორმაციას, შინაურს თუ გარეულს, ოფიციალურს და „აგენტურულსაც“. ხედავდა რა თუ როგორ კატასტროფულად ეცემოდა პატიაშვილის ავტორიტეტი და გათვალა მისი ფინალის შესაძლო შედეგი, ყველაფერი გააკეთა მომავალი კონკურენტების დისკრედიტაციისთვის. პატიაშვილი ნერვიულობს, დაბნეულია. მისთვის, რატომღაც, ზედმეტად ღირებულია ინფორმაცია უფრო იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს მასზე ოპოზიცია, ნერვიულად რეაგირებს მისი მისამართით მომიტინგეთა ლანძღვა-გინებაზე, ჭორებსა და ანეგდოტებზე. ცხოვლად აინტერესებს, როგორ იქცევა უახლოესი გარემოცვა, ეჭვიანობს მათ კავშირებზე, განსაკუთრებით მოსკოვთან. გუმბარიძე ყოველივე ამას გრძნობს, დოზირებული და „ობიექტური“ ინფორმაციით კიდევ უფრო უძლიერებს ეჭვებს ამა თუ იმ პიროვნების მიმართ (პატიაშვილის ხასიათიდან გამომდინარე, ამაზე ადვილი რა იყო), სისტემატურად ასაზრდოებს მასზე მოსალოდნელი თავდასხმის ინფორმაციით. ამის გამო პატიაშვილი სათოფეზე აღარ ეკარება არც ერთ მიტინგს, არც ქუჩაში და არც შენობაში. მისმა ნერვიულობამ და დაბნეულობამ პიკს მიაღწია!

სწორედ ამ დროს უგანა მისმა „რჩეულმა“ და პოტენციურმა „მემკვიდრემ“.

**– რით გამოიხატებოდა ეს დაშორება?**

– ამომწურავი პასუხი ამ შეკითხვაზე არა მაქვს. მაგრამ ერთი ფაქტი, რომლის მოწმეც გახლავართ, მრავლისმეტყველია.

...9 აპრილამდე რვა-ათი დღით ადრე, დილით, მოულოდნელად დამირეკა პატიაშვილმა, მთხოვა მასთან კაბინეტში ავსულიყავი.

შეწუხებულმა და დაფიქრებულმა, გამარ-

გაგრძელება მე-8 გვ

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

# სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# გალაკტიონ ტაბიძე

# «მთაწმინდის მთვარე»

ნოდარ გრიგალაშვილი

გაგრძელება დასაწ. იხ. „საქართველო“ №68,69,70,71

გალაკტიონ ტაბიძეს აქვს ერთი მცირე ჩანაწერი, ასეთი სათაურით – „საკუთარი ლექსების შესახებ“. სამწუხაროა, რომ ეს ჩანაწერი ერთობ მცირეა და მასში მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოების შესახებ გამოთქვამს პოეტი აზრს, თუმცა თვით „მთაწმინდის მთვარეზე“, სხვა ლექსებთან შედარებით, ვრცლად საუბრობს.

ალბათ, თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს გალაკტიონის აზრი საკუთარი ლექსის შესახებ. გთავაზობთ მას სრულად: „რომ მეფე ვარ და პოეტი“ – მქონდა ასეთი ფრაზა მთაწმინდის მთვარეში“. ეს ლექსი („მთაწმინდის მთვარე“) მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, საკმარისად შესწავლილი არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემის შემოქმედებისა. ამ ლექსში უსათუოდ სჩანს პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის კორიფეების შემოქმედებას, აცხადებს რა თავის თავს ნიკოლოზ ბარათაშვილის და აკაკი წერეთელის პოეზიის მემკვიდრედ. აქ მთვარის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით მოსჩანს მტკვარი და მეტეხი... აქ ახალგაზრდა პოეტის ახლო, სძინავს მოხუცი პოეტის ლანდს, აკაკი წერეთლის ლანდს. ბარათაშვილსაც ხომ აქ უყვარდა ობლად სიარული, ილია ჭავჭავაძესაც, დიმიტრი ყიფიანსაც და აქ ამბობს პოეტი: „და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად“ (ლირიკის კონცეპცია), ოღონდ ვთქვა თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა (კავშირი ბუნებასა და ადამიანის სულს შორის), თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები (ძალა ალმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის), და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები (რომანტიზმი ლურჯის, ცისფერი ოცნების). იალქნები ზღვაზე სულიც აღზრდილია ამ ზღვაზე, ცხოვრების ზღვაზე, „სიცოცხლის ზღვაზე“, რომელზედაც ლურჯი იალქნების გზა მიდის, თვით სიკვდილის გზაც არაფერია მასთან შედარებით, ამ სიცოცხლესთან შედარებით და თვით სიკვდილის გზაც კი ვარდისფერია და არა საშინელი, საშიშარი (რენიეს თქმით, მოულოდნელი განცვიფრება ვარდისფერისა და შავი ფერის შეხვედრისაგან“), რომ ამ გზაზე (წორედ ვარდისფერ გზაზე) მგოსანთ სითამამე, გაბედული ხმა არის სინამდვილეზე უფრო მეტი სინამდვილე – ჰიპერბოლური, ზღაპრული, „რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“.

ცოტა ქვემოთ პოეტი განსაზღვრავს: „მთაწმინდის მთვარე“ ჩემი პროგრამული ლექსია, რომელიც კონკრეტულად ასახავს ჩემს დამოკიდებულებას კულტურული მემკვიდრეობისადმი (ბარათაშვილი, აკაკი, მე).

ალბათ, დამეთანხმებით, გალაკტიონი ზუსტ დეფინიციას გვაძლევს იმ საკითხებისას, რაც „მთაწმინდის მთვარეშია“ განფენილი. პოეტი ცნებების ენით საუბრობს, იმაზე რასაც ლექსში სახეებით გამოხატავს.

როგორც ვნახეთ, ეს საკითხები ფორმულირებულია ასე:

1. პოეტი თავის პოეზიას უკავშირებს მეცხრამეტე საუკუნის კორიფეების შემოქმედებას“.

თუ რატომ არის ეს ხაზგასმული ჯერ ლექსში და შემდეგ „ავტორეცენზიაში“, ნათელი გახდება მას შემდეგ, როდესაც მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ლიტერატურულ პანორამას წარმოვიდგენთ.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ პოეზიაში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გავლენა მძვინვარებდა. ახალბედა პოეტები ბაძავდნენ აკაკის ან ილიას და პოეზია ეპიგონობის ნიაღვარმა წალეკა. რამდენადაც მომხიბვლელია ორიგინალი, რამდენადაც დიდი ესთეტიკური ზემოქმედების ძალა აქვს მე-19 საუკუნის რჩეულ მგოსანთა შემოქმედებას, იმდენადვე მოსაწყენია მიმბაძველთა ყლურტული. ტიციან ტაბიძე წერს ერთგან, ვულკანი ერთხელ ამოაფრქვევს, შემდეგ კი მთის დამშვიდებულ კალთებზე ცხვრის ფარები სძოვენო. ასეთი სურათი იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაშიც. ვაჟას, აკაკის, ილიას უკვე ნათქვამი ჰქონდათ თავისი სიტყვა, უკვე ამოფრქვეული იყო მათი შემოქმედებითი გენია, ახლა კი მათ ნასუფრალზე მშვიდად იცოხნებოდნენ ეპიგონები.

ამ გარემოებამ 10-იანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში მე-19 საუკუნის მემკვიდრეობისადმი უკურეაქცია გამოიწვია. ცისფერყანწელთა ნიჭიერი თაობა, საკუთარი თავის დასამკვიდრებლად დაადგა უარყოფის გზას. მათ განიზრახეს ქართული ლექსის განახლება და „ევროპული რადიუსით გამართვა“. თავს აცხადებდნენ ფრანგი სიმბოლისტების – ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, მალარმეს მემკვიდრეებად. ეს ყმაწვილკაცურ ასაკში მოსახდელი სენი იყო.

მე-19 საუკუნის ლირიკაში ახალი თაობა ცნობს მხოლოდ ბარათაშვილსა და ვაჟას. სხვა პოეტებთან ლექსის კასტრაციას ხედავენ. აი, რას წერდა ახალგაზრდა დემნა შენგელაია: „ვეფხისტყაოსნის“ უნაზეს აკვნესებიდან საქართველო კერესელიძის „ცისკრამდის“ მივიდა, სადაც გულმოდგინედ სწავლობდნენ კომბოსტოს დამჟავებას და ბოზბაშის კეთებას.

შემდეგ ილუზია ლიტერატურული რევოლუციისა.

თერგდალეულთა პოეზია.

კეთილშობილური გაქანება მოქალაქეობრივ მოტივებში და კასტრაცია პოეზიისა.

ბანკობია და აპელაცია.

კრილოვის იგავ-არაკები და თავის გართობა.

და ასე უდაბნოება და უდაბნოება... ერთი სიტყვით, ის ვითარებაა შექმნილი, როცა იტყვიან „კაცს დედა დავიწყებოდა და დედინაცვლის მზეს ფიცულობდაო“.

წარსულისადმი ახალგაზრდა შემოქმედთა ამდაგვარი მიმართების შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი ხდება გალაკტიონის განცხადება: „პოეტი თავის პოეზიას უკავშირებს მე-19 საუკუნის კორიფეების შემოქმედებას“.

იმის მიუხედავად, რომ გალაკტიონმა ყველაზე მეტი სიახლე მოიტანა უახლეს ქართულ პოეზიაში, იგი მაინც არ თვლიდა, რომ სამყარო მისით იწყებოდა და თავდებოდა. მან კარგად უწყოდა, რომ დიდი ადამიანების მხრებზე იდგა.

ჭეშმარიტი კულტურა სწორედ ტრადიციებზე დაყრდნობილი ნოვატორობით იწყება და არა წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით. გალაკტიონი გაღიზიანებული წერდა: „ეს პოეტის „მე“-ა, რომ ასე ღუპავს საერთო საქმეს, ვის რად უნდა ცარიელი რახუნი? ვის სჭირდება ხმაურობის ატეხა ამის გამო, რომ „პოეზია იწყება მისით და თავდება მისით?“

როდესაც მასა არ იღებს ასეთ პოეტს, იგი ერთ ყოფას დაათევს, აქაო და, შეხედეთ, როგორ მჩაგრავენო. სწორედ ამაზეა ნათქვამი, იხმაურეს და საქმე კი ვერ გააკეთესო. ვიღაცას ალბათ სჭირდება ასეთი ამბავი, ნამდვილ პოეტს კი არასოდეს.

ჩვენი საქმე ნათელია, ვერავინ დღეს ვერ იტყვის: მინდა სიმღერის წამოწყება, მაგრამ არ ვიცი საიდან დავიწყო, როგორ მოვაბა თავი. სიმღერა დიდი ხანია წამოწყებულია, საჭიროა მხოლოდ მივყვეთ, ხმა ავაყოლოთ, საერთო ხორო შევქმნათ. ყველა უნდა ცდილობდეს საერთო ხოროში გამოსვლას, მაგრამ აქ საჭიროა არა ხრინწიანი ხმა, რომელიც არევს სიმღერას“.

ეს არის პოეტის გაკვეთილი, მისი მრწამსი, რაც „მთაწმინდის მთვარეში“, როგორც უკვე ითქვა, ლირიკის ენაზეა თქმული.

„აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს
სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და
გვირილით,
ეფინება ვარსკვლავების კრთომა
მხიარული...
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად
სიარული.
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის
სევდიან გედად.
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში
როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან
ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებითა ლურჯი
იალქნები“.

უკეთუ პოეტი მთაწმინდის უკვდავთა სავანის მკვიდრთა დარად იტყვის „ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“, „თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები“, ანუ დიდი პოეზიის ენაზე ალაპარაკდება, მაშინ წაჰყვება საუკუნეს მისი ქნარიც. აქედან გამომდინარე, ლექსში შემოდის მეორე თემა, რაც გალაკტიონის მიერ ფორმულირებულია ასე – „ძალა ალმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის“.

ახლა გავიხსენოთ პოეტის სიტყვები, „მთაწმინდის მთვარე“ ჩემი საპროგრამო ლექსიაო.

რა თვალსაზრისით შეიძლება ეს ლექსი საპროგრამო იყოს? ე.წ. საპროგრამო ლექსებს ქართულ პოეზიაში ხშირად შევხვდებით. მარტო ილია ჭავჭავაძის „პოეტი“ რად ღირს, სადაც ილია აცხადებს: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

რას გულისხმობს ეს სტრიქონები? ილიასათვის პოეზია (ღმერთთან ლაპარაკი) საშუალებაა, რომ ერს ემსახუროს. პოეტი საპროგრამო ლექსით თავის მოქალაქეობრივ მიზანს, კრედოს განსაზღვრავს.

გალაკტიონისათვის პოეზია (ღმერთთან ლაპარაკი) პიროვნული ხსნის საშუალებაა, უფრო სწორად, საშუალება კი არა, არსებობის ფორმაა. მისი ცნობილი სტრიქონი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ გალაკტიონისათვის ხელოვნების სხვა დარგებს შორის პოეზია უპირველესია, არამედ იმასაც, რომ არსებულ საგნებსა და მოვლენებში უნდა ვხედავდეთ პოეზიას უპირველეს ყოვლისა! ჩვენი ცხოვრების წესი განსაზღვრული უნდა იყოს პოეზიით უპირველეს ყოვლისა!

გალაკტიონს სწამს და ამდენად, ხედავს კიდევ გამოგონილ სამყაროს, სინამდვილეზე უფრო მეტ სინამდვილეს.

„ლურჯა ცხენებით“ პოეტმა ეკლესიასტეს დამთრგუნველი სიბრძნე გადმოსცა: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“, რომ წუთისოფელიცა და მარადიული სოფელიც არარაობაა. ნუთუ ღვთისაგან შექმნილ ქვეყანაში არაფერი შეიძლება იყოს წარუვალობის ნიშნით აღბეჭდილი? ამის პასუხია „მთაწმინდის მთვარე“, ამის პასუხია სტრიქონები ლექსიდან „რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი“, რომ პოეზიის მეტყველი სულისთვის „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა“. ახლა წარმოიდგინეთ კაცი, რომელმაც სიცოცხლის საყრდენი ღერძი მოძებნა, რომელიც მიხვდა, რომ ამ სასიცოცხლო ღერძს ეყრდნობოდნენ წინამავალი დიდი შემოქმედნი და ღვთითბოძებული ნიჭიერების გარდა ამითაც გახდნენ ისინი გამორჩეულნი. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ ეს კაცი ორგანულად გრძნობს მათთან გონებრივ და სულიერ სიახლოვეს, თავს გრძნობს მათ ტოლ-სწორად. სწორედ ამ აღმოჩენის სიხარულია ხორცშესხმული ლექსში.

გ.ტაბიძისათვის პოეზია არის ის, რაც თევზისთვის წყალი, რაც ადამიანისათვის ჰაერი. თუ თევზს წყლიდან ამოვაგდებთ, ვერ იცოცხლებს, ადამიანი უჟანგბადოდ სულს ლაფავს, სწორედ ასევე, სულიერი ცხოვრების ელექსირად გალაკტიონი პოეზიას, რომანტიზმს, ალმაფრენის ნიჭს მიიჩნევს. ხოლო ამ ნიჭის გარეშე, ადამიანი არსებობს თავისი უბადრუკი ცხოვრებით, მერე მოდის სიკვდილი მთელი თავისი საშინელებით. აი, პოეზიაა ერთადერთი, რასაც შეუძლია შექმნას სინამდვილეზე უფრო მეტი სინათლე.

პოეზიაა ერთადერთი, რაც სიკვდილის საშინელ გზას აქცევს ვარდისფერ გზად, ანუ საუკუნო ქნარის მფლობელს არც სიცოცხლის, არც სიკვდილის არ ეშინია.

პოეზიის ძალმოსილების შეგრძნება და საკუთარ თავში დიდი პოეტური ენერგიის აღმოჩენა, პოეტს იმის დაუფარავ სიხარულს განაცდევინებს, „თუ როგორ გრძნობს რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა, სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა“.

ჩვენთვის, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, არ არის ადვილი ამ სტრიქონების სისხლხორცეული განცდა. პოეტი გრძნობს, რომ მთელი სამყარო მასშია და სამყაროშია მისი სული განფენილი. ეს ღმერთკაცის განცდაა, ამაოებაზე ამაღლებული ადამიანის სიხარულია, ამიტომაც ეჩვენება პოეტს ასეთი შეგრძნების წამს, რომ „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“. ამიტომ წერს: „ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს“. სამყარო, თითქოს, ხელახლა იბადება მის თვალში და ხელახლა იბადება თავადაც, ისე, როგორც უკვდავებასთან ნაზიარები ზღაპრული მინდია.

ვაჟა ფშაველას მინდიას სმენაც ჰქონდა და ხედვაც, მაგრამ როცა ღვთაებრივ სიბრძნესთან წილნაყარი გახდა, ვაჟა იტყვის: „გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმას და ყრუს გაეხსნა“.

წარმოიდგინეთ სწორედ ასეთი, ერთ მშვენიერ ღამით სხვა სმენისა და სხვა ხედვის ღმერთკაცად გადრასახული პოეტი, რომელიც ხედავს „სიზმრებს არაჩვენებურს“, რომელიც ხედავს ჩვეულებრივში არაჩვეულებრივს, რომელმაც იპოვა ის საყრდენი, საიდანაც მაღლით გადმოჰყურებს ამაოების ბაზარს და საცნაური ხდება მისი სიტყვები – „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“...

გაგრძელება იქნება

# ანა დედოფალი

### ანა კალანდაძის საღამოზე წარმოთქმული სიტყვა



ანა კალანდაძის პოეზიაზე საუბარი ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ ნათელი ლექსით წერს: „თქვი, არჯაკელო, მხვიარა, ქსანზე ვინ ჩამოიარა, – რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი და არა გამიგია–რა. – მეც სხვათაშორის ვიკითხე, სალაპარაკოდ კი არა". ხალხური შაირის ადვილად გასაგები სტრიქონებია, მაგრამ ძნელი ასახსნელია, ასეთი მარტივი ლექსით ამგვარ ეფექტს როგორ ახდენს, რატომ ჰყავს ამდენი, აურაცხელი თაყვანისმცემელი. ამის ახსნას ჩაღრმავებული მეცნიერული ანალიზი სჭირდება, რისი დროც ახლა არ არის.

მე, უბრალოდ, მინდა მივესალმო ჩემს თანაკურსელსა და მეგობარს. გავიხსენო, კერძოდ, მისი ტრიუმფით შემოსვლა ქართულ პოეზიაში. ეს იყო 1946 წელს. უნივერსიტეტს ვამთავრებდით, რომ მთელს ქალაქს მოედო ანას მიერ მწერალთა სასახლეში წაკითხული ლექსების ამბავი. მაშინ, ასე თუ ისე, გამეგებოდა პოეზიისა და ეს ხმები გადაჭარბებულად მეჩვენებოდა. მაგრამ საკმარისი გახდა, ერთხელ შემთხვევით ხელში ჩამვარდნოდა ლექსი „თუთა", რომ ჩემი სკეპტიციზმი საპნის ბუშტივით გამქრალიყო.

ანა კალანდაძის ლექსების ხელნაწერმა რვეულმა, რომლის ორი სხვადასხვა ეგზემპლიარი მეც შემომრჩა და სათუთად ვინახავ, მაშინ მთელი საქართველო მოიარა. რატომღაც ზოგი ლექსის თავდაპირველი ვარიანტი უფრო მომწონდა. აი, ერთი მათგანი:

მე ლამაზი მეგობარი
მყავდა,
თვალჟუჟუნა, წაბლისფერი
თმებით.
ერთხელ მტრედმა მოუტანა
ფრთები,
დამტოვა და ღრუბლებს
გაჰყვა ცადა.
*ღმერთო ჩემო*, სად ვეძებო,
სადა!
მე ლამაზი მეგობარი
მყავდა...
*დარდიანი, ღვინოს ვსვამ და
ვთვრები.*

ხაზგასმული სიტყვები თავდაპირველი ვარიანტისაა.

მაშინ ჩვენმა კრიტიკამ ცუდად უმასპინძლა პოეტს... ანა ახმატოვას და მიხეილ ზოშჩენკოს დამუშავების ქართული ვარიანტი შექმნეს, უსაყვედურეს: რატომ არ ისმოდა მის ლექსებში ქვემეხთა გრიალი, მაგრამ განა ომის საშინელების ამსახველი არ იყო ეს სტრიქონები: „აუ, აფრინდა გუნდი ყორანთა, ვაი, ვის გულმკერდს დაფლეთს ყორანი".

ანა კალანდაძის პირველი ლექსები ომის ქარცეცხლთან დაღლილ-დაქანცული სულის დავანება იყო: თუთის შრიალი, ჭიამაიასთან საუბარი, პაწია ჩიორა, ანას მუხიდან რომ „მიესალმა", ალუბლის ტოტი, რომელიც ღელავს და შფოთავს იმის გამო, რომ „ჩიტი გაფრინდა ალუბლის რტოდან მზის სასალამოდ". თვით გველიც კი – ბოროტების სიმბოლო – გველი ლოცვის პოზაშია დახატული („ლოცულობს გველი").

შემდეგ პოეტს ეროვნული გრძნობის უქონლობაც დასწამეს, მაგრამ განა სამშობლოს სიყვარულით არ არის გამთბარი ეს სტრიქონები? „თოვლი აჭარა-გურიის მთების, ჩემეულ მთათა, მცირე წისქვილი გუბაზოულზე, ჩემს ეზოს კართან". საქმე ის არის, რომ ანა კალანდაძეს საკუთარი ხმა აქვს. საგნებსა და მოვლენებზე პირდაპირი სახელდებით კი არ გვესაუბრება, არამედ ნახევარტონებითა და მინიშნებებით. იგი მეცნიერიც არის და გააზრებული აქვს, რომ პოეზია სინამდვილის ასახვა როდია, იგი ამ სინამდვილის საფუძველზე აღმოცენებული ახალი, მეორე სინამდვილეა. თუმცა შემდეგ პოეტმა სამოქალაქო ლირიკასაც მიმართა და აქაც თავისი ლამაზი სიტყვა თქვა. ცოტა მოგვიანებით ანა კალანდაძის პოეზიაში იასამნის სურნელი შეიჭრა („ჩამოფრინდები შენს ლურჯ რტოებზე, ჩამოფრინდები, იასამანო").

ქართული პოეზიის ყვავილნარში, რომელსაც ამშვენებს რუსთაველის ვარდი, ბესიკის ნარგიზი, ვაჟას ია და პირიმზე, გალაკტიონის ატმის ყვავილი და ლადო ასათიანის ყაყაჩოები, ანას იასამანმაც თავისი ადგილი დაიმკვიდრა.

ამას ფშაური ციკლი მოჰყვა: „რა დაშავდების? არც რაი, გნახავ და გამეხარდები!" მხოლოდ დიდ პოეტს შეეძლო ფშავ-ხევსურეთზე ეწერა, 15 ლექსით ვაჟას სამყაროში შესულიყო, ვაჟასეული საგნებისთვის ხელი შეევლო და ყოველგვარი გავლენის გარეშე ანა კალანდაძედ დარჩენილიყო. ფშაური ციკლის გამოქვეყნების შემდეგ გიორგი ლეონიძე შეხვდა დაეუბნება: „ქალო, იმ ტყაპუჭიან ფშავლებზე რომ სწერ, ჩემზე დაწერეო". გესმით? გიორგი ლეონიძე – ქართული პოეზიის ერთ-ერთი მშვენება ნატრობდა: ანა კალანდაძეს მასზე ლექსი დაეწერა.

ამრიგად, შემოქმედების ყველა ეტაპი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული და გამოცალკევებულია. მაგრამ ანა კალანდაძის პოეტური მეტამორფოზები ამით არ მთავრდება. 70-იან წლებში ჟურნალ „ცისკრის" ერთ ნომერში ანამ ერთბაშად 43 ლექსი გამოაქვეყნა: 43 ლექსი – 43 ლოცვა („არ შეველ ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა"). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: გალაკტიონის გარდა, ასეთი ხშირი და მკვეთრი შემობრუნება სტილის სფეროში, ასეთი უეცარი გადასვლა შემოქმედების ერთი ეტაპიდან მეორეზე, არც ერთი ქართველი პოეტისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი.

ისევე, როგორც, ვუბრუნდები თავში ნათქვამს: ასეთი სენსაციური შემოსვლა პოეზიის სამყაროში არც ერთ ქართველ პოეტს არ ღირსებია (რუსთაველზე ვერაფერს ვიტყვი, არავითარი ცნობა ხელთ არ გვაქვს).

ისიც აღსანიშნავია, რომ ანას გამოჩენას ჩვენში მოჰყვა ქალთა პოეზიის საოცარი გამოცოცხლება, რომლის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი დადასტურება ეკა ბაქრაძეა.

დღეს ანა კალანდაძე დუმს. ერთხელ მითხრა: თვით სევდიანი ლექსის დაწერასაც სიხალისე სჭირდებაო. მაგრამ ჩვენ რომ გვჭირდება მისი სულის დამაამებელი ხმა? მის მიერ ახალი თვალით დანახული თუთა და იასამანი, ბოშა ქალი და თათრის გოგონა? ჩიტი ჩიორა უფრო უმკურნალებს ჩვენს დღევანდელ წყლულებს, ვიდრე პოლიტიკურ თემაზე გალექსილი დეკლარაციები.

ანა კალანდაძე – ქართული პოეზიის დედოფალი, ჩვენი მშვენება და სიამაყე. ისევე გვიყვარს იგი, ისევე ვეტრფით მას ჰაეროვანი ტრფიალებით, „როგორც ბესიკი ეტრფოდა თავის ანა დედოფალს".

აკაკი ხინთიბიძე

---

## გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯთან აფეთქდა ე.წ. აფხაზური მილიციის კუთვნილი ავტომანქანა

27 დეკემბერს, 19.30 სთ-ზე, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯთან ნაღმზე აფეთქდა ე.წ. აფხაზური მილიციის კუთვნილი „უაზის" ტიპის ავტომანქანა. აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი და დაიჭრა სამი აფხაზი მილიციელი. (იბერია)

## მსოფლიო საინფორმაციო სისტემაში აფხაზი სეპარატისტების მიერ გადაცემულია ყალბი ინფორმაციები

მსოფლიო საინფორმაციო სისტემა „ინტერნეტში" აფხაზი სეპარატისტების მიერ გადაცემულია ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ. ინფორმაციაში უხეშად არის დამახინჯებული საქართველოს ისტორია. კერძოდ, ნათქვამია, რომ აფხაზეთი საქართველოს მიერ დაპყრობილ ქვეყანას წარმოადგენდა. ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი 1993 წლის სექტემბრის თვეში განთავისუფლდა საქართველოს კოლონიური უღლისაგან. გადაცემულია აგრეთვე მონაცემები აფხაზეთის სახელმწიფოებრივი ორგანოების, „პარლამენტის" წევრთა და „პრეზიდენტის" შესახებ. ასევე, აფხაზეთის კონსტიტუციის მთლიანი ტექსტი. (იბერია)

---

# ერთი დღე XI კლასელის ცხოვრებიდან

ნოემბრის ცივი, სუსხიანი დღე იდგა. ჯერ კარგად არ გათენებულიყო. „ცოტას კიდევ დავიძინებ" – გავიფიქრე და გვერდი ვიცვალე.

– მაიკო, ადექი – იძახის დედაჩემი.

თავი ბალიშში ჩავრგე და კვლავ – მაიკო, დროზე-მეთქი! – ახლა უფრო შორიდან, ღრმა ჭაობიდან, უფსკრულიდან...

ნახევრადმძინარე, თვალმოჭუტული წამოვდექი თბილი ლოგინიდან, ხელების ფაცურით გავიკვლიე გზა და ოთახიდან გავედი. ზლაზვნით დავიბანე ხელ-პირი, ვისაუზმე და ნელი ნაბიჯით გავუყევი ვიწრო ბილიკს.

გზად მიმავალს ფიქრი არ მასვენებდა, ფიქრი იმის შესახებ, თუ „რას მომცემს ისეთს მე საქართველო და ან რას მისცემს მას ჩემი ჭნარი". ფიქრი კარგია – თუ ნატვრას რეალურად ვერ ისრულებ, ფიქრში მაინც აღწევ შენს მიზანს. აგებ კოშკებს, შემდეგ არ მოგეწონება, ისევ ანგრევ და... აი, მოწყალებას ითხოვს ჩემხელა ბავშვი. ბავშვი, რომელსაც ღმერთმა ასეთი ბედი არგუნა, მაგრამ რა გაეწყობა?! უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს, გზები მხოლოდ წინაა...

ფიქრებში გართული აღარ მახსოვს, როდის მოვადექი სკოლის კარებს. უკნიდან ნაცნობი ხმა შემომესმა, მივიხედე და ჩემი ამხანაგი თავქუდმოგლეჯილი მორბოდა.

– ბიჭოს, ძლივს არ გაგაგებინე, მოვკვდი ყვირილით – შეწუხებული სახით გამომხედა.

– არაფერი უჭირს, ხმასაც ზოგჯერ გავარჯიშება სჭირდება – დავამშვიდე და ნელი ნაბიჯით ავუყევით საფეხურებს.

კლასის წინ უამრავ ბავშვს მოეყარა თავი. ეტყობოდათ, რაღაცა ვერ გადაეწყვიტათ.

– გამარჯობათ – მივესალმე და შევეცადე გამერკვია, რაში იყო საქმე.

– თათიას ბებია გარდაეცვალა – შეწუხებულმა მეგობარმა გამაგებინა და ისე დააჭყიტა თვალები, ამის შემხედვარე, სიცილი ამიტყდა.

– კარგი, გოგო, სირცხვილია, რა არის აქ სასაცილო – მისაყვედურა და სახე მომარიდა.

– კი მაგრამ, როგორ მოკვდა? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– როგორ და, ტახტზე მჯდარა, „ვაი" დაუძახია და მომკვდარა – ამის



თქმა და შეტრიალება ერთი იყო (ალბათ, ეშინოდა, არ გამეცინოსო).

მალე შესვლის ზარიც დაირეკა. გაკვეთილი დაიწყო.

– ქალბატონო ქეთევან, გისმენთ!

– ეუჰ, ამას თათიას ბებია თუ უშველის, თორემ სხვა ვერავინ – წასჩურჩულა ერთმა მეორეს.

– მას. თათიას ბებია გარდაეცვალა და ვერ ვისწავლე – გაიმართლა თავი, მაგრამ ამაოდ.

– „2"-ს „არა" არ მერჩივნა?! იდიოტი ვარ ნამდვილი – თავის თავს უბრაზდება ქეთინო.

– ახლა გაიგე? – აიმედებს მეგობარი.

გაკვეთილის გამოსვლისას კლასში ერთი ალიაქოთი ატყდა. სიჩუმე, რომელიც გაკვეთილის მსვლელობისას სუფევდა, შეიცვალა ლანძღვა-გინებით.

– რა ხდება? – გაოგნებულმა ვიკითხე და პასუხად წიგნი მომხვდა თავში. ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო. ჩვენი ბიჭები (როგორც ყოველთვის) ჩხუბობდნენ. სიტუაცია გამწვავდა და გადაინაცვლა სკოლის ეზოში. ტრთოლვით და კანკალით სულგანაბული ყურს ვუგდებდი მათ ხიპიშს და მეშინოდა, რამე ცუდი არ მომხდარიყო.

– როგორ დამარტყა, მე მაგის... – იძახის გამწარებული ბიჭი, რომელიც ცხოველს უფრო დამგვანებოდა, ვიდრე ადამიანს.

– ბიჭო, სიტყვებს დაუკვირდი, რეებს როშავ, ხომ არ გინდა შეგალამაზო – ემუქრება მეორე.

– ეი, თქვენ, რა მაყურებლებივით დამდგარხართ, მოდით, გააშველეთ! – გასძახის ჩემი ამხანაგი იქ მყოფთ.

– მოიცა რა, თუ ძმა ხარ, „გამშველებელს უფრო მეტი ხვდება"-ო. მაგის თავი არა მაქვს.

მალე მთელი დირექცია ძირს იყო. მოჩხუბრები (როგორც იქნა) გააშველეს. ყველაფერი მიწყნარდა.

– მაინც რის გულისთვის მოუვიდათ ჩხუბი? – ვიკითხე დაინტერესებულმა.

– მგონი, გოგოს გულისათვის.

– მოკლედ, რა ხართ ეს გოგოები – მომესმა უცნობი ბიჭის ხმა, ყურადღება არ მიმიქცევია.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სახლში წამოვედი. აქაც ახალი ამბავი დამხვდა.

მაინც რა? გაინტერესებთ? – ახლავე მოგახსენებთ.

მე და ჩემი დაქალი ოთახში შევიკეტეთ და დავიწყეთ მსჯელობა ჩვენს პრობლემებზე.

სწავლა-განათლება ხომ არ გიფიქრიათ? მაშ შემცდარხართ. ეს სულ სხვა პრობლემაა.

აღფრთოვანებული დაქალი მიყვება:

– გოგო, KBH-ში ვინ შემოვიდა იცი?!

– ვინ? – ცნობისმოყვარეობით ვიკითხე და მოველოდი, რომ ცხოვრების ჰორიზონტზე კიდევ ახალი პიროვნება იჩითებოდა.

– ვინ და „პალოს" რომ ეძახიან.

– მოიცა, მოიცა... ააა, მივხვდი. კი, მაგრამ როგორ?

– როგორ და გაიგო მეც რომ ვმონაწილეობდი და...

– გასაგებია, ყველაფერი გასაგებია... ხო, მართლა, KBH-ში „საშინაო დავალებაში" რას დგამთ?

– „ჯარისკაცის მამა" გადავაკეთეთ.

– კარგი გამოდის?

– ფანტასტიური. ეგეთ პონტში, გაბაზრებული არაა. იტოგში, მაგარია.

– თქვენ რას დგამთ? – მეკითხება ახლა ჩემი საქმიანობით დაინტერესებული დაქალი.

– კაროჩე, წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. მოხვალ და ნახავ, რა.

ცოტა ხანში საუბრის თემა შეიცვალა ჩვენი სუსტი წერტილით – სწავლა-განათლებით.

– ოჰ! ეს სწავლა – ამოვიოხრე.

– კარგი რა, გეყო! ხომ იცი, რომ სუსტი გული მაქვს, – გაიხუმრა და ოთახიდან გავიდა.

ამასობაში დაბინდდა. ყველა მიწყნარდა, დადუმდა. სძინავთ უშველებელ მთებს, მოწმენდილ ცას, დადუმებულ დედამიწას.

– რა გავაკეთე დღეს? – მაგრამ „არავინ იძლევა პასუხს".

მაგრამ, მე მაინც მწყინს რაღაც–

მაგრამ „ყველა ადამიანში მზეა, ოღონდ აცალე, რომ გაანათოს" (სოკრატე).

მაია დათიაშვილი

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

ბატონებო! წრფელი გულით გილოცავთ კარსმომდგარ 1997 წელს!
გისურვებთ ბედნიერ ჯანმრთელობას და ჯანიან ბედნიერებას!
ნობათად, ფელა რომ თავის ნახელავს დაასაჩმებს ხოლმე, მეც სიამოვნებით გთავაზობთ ჩემს „საახალწლო ნაკვესებს"!
ჩამთვალეთ მეკვლედ, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!

## საახალწლო ნაკვესები

* საქართველომ დალოცა მრევლი – ხალხო და ჯამაათნო! ახალწლის დადგომის მაჩვენებელ საათის ისრებივით ჩახუტებას გისურვებთო.

* საახალწლო ნადიმზე პირველ სადღეგრძელოდ ინებეს: „მშვიდობისათვის არავის შეგვებედოს–მშვიდობითო".

* 96 წელმა 97–ს მრავალ საჩუქართან ერთად ახალი ანდაზაც უნობათა: ცხვარი სარქლითაო და ხალხი – სარდლითაო.

* საქართველომ დააიმედა ახალი წელი – უწინ აფხაზეთს, რესპუბლიკის გარეთ, ციტრუსების გატანა ეკრძალებოდა და ახლა თვით აფხაზეთს ვინ გაატანინებსო?!

* ახალმა წელმა ახალგაზრდობას მუხლჩაუხრელი შრომისკენ მოუწოდა და თან დამოძღვრა: უქნარობა და უძრაობა საფლავში ყოფნის რეპეტიციააო.

* ბუნებამ შესთხოვა ახალ წელს: ნაკრძალის მსგავსად მიმყოფე:

ფრინველთ უსაზღვრო არეო,
ზღვა–ფირუზ, ხმელეთ–ზურმუხტო,
ჩემი სამშობლო მხარეო!

* გოზინაყმა გაიკვირვა – საახალწლო ბაზარზე თაფლისა და ნიგვზის ფასი ასე რომ გამწარდა, მე ტკბილი როგორღა ვიქნებიო?!

* ახალმა წელმა ჰკითხა გასულს – რას გამოვუცხადო ყველაზე ულმობელი ბრძოლა, ლმობიერ განაჩენსაო.

* ერთ მოსამართლეს ჰკითხა ახალმა წელმა – ქრთამი რად აიღეო, და – ქრთამი ვაპატიეო.

* საქართველომ უპატაკა ახალ წელს –ნიკოლოზის დროს ლეკიანობა მამწარებდა, ახლა კი ნიკო ლეკიშვილი მაწყნარებსო.

* ახალმა წელმა საქართველოს ხელმძღვანელის საქმიანობაში ხინჯი ვერ შეიტანა, მაგრამ თავის მხრივ იგავად მაინც მიანიშნა:

„ერთმა კაცმა გადაწყვიტა ვირის ბაზარზე გაყიდვა და შვილიშვილს უხმო:

– შვილო! ვირზე ნუ შევსხდებით, რომ ბაზარზე პეწიანად გამოიყურებოდეს!

ბაზარზე მრავალი სოფელი ჰქონდათ გასავლელი და აი, პირველ სოფელში სიცილი დააყარეს:

– ჭკუას დაგვიხედეთ, ვირი თავისუფლად მიჰყავთ და თვითონ ფეხით მიჩანჩალებენ!

შესხდნენ ორივენი ვირზე და მეორე სოფელში უარესი შემოესმათ:

– ამათ სირეგვნეს არ უყურებთ, ერთ ვირზე ორნი შემსხდარან!

დატოვა ბიჭი ვირზე და თვითონ ფეხით გაუყვა, მაგრამ არც მესამე სოფელში დააკლეს:

– გამოჩერჩეტება მეტი გინდათ, ბიჭი ვირზე წამოუსკუპია და მოხუცი ფეხით მიჩანჩალებს!

გადმოსვა ბიჭი და თვითონ შეჯდა, მაგრამ მეოთხე სოფლიდან აშკარა გინება შემოესმათ:

– ამ ქოფაკს არ უყურებთ, თვითონ ვირზე გამოჭიმულა, საწყალი ბავშვი კი ფეხით მიჩანჩალებს!

გადმოვიდა პაპა და...

– ეჰ, შვილო! როგორც თავიდან ვიფიქრეთ, ისე ვწიროთ, თორემ... თუ ყველას ყაყანს აჰყე, გაგაგიჟებენ!"...

ვახტანგ ჯავრიშვილი

არც რა მიშველა ცირილმა,
არცა ცრემლემის დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



კაცი შევიდა სიონის ეკლესიაში, პირჯვარი გადაიწერა და ღმერთს შეევედრა:

– ღმერთო, შენი ჭირიმე, ძალიან გამიჭირდა, პურის ფული აღარა მაქვს, თუ სადმე ხარ, ასორმოცდაათი ლარი გამომიგზავნე!

კარებთან ბატონი ჯაბა მდგარიყო, დაუძახა მას, 50 ლარი მისცა და უთხრა:

– წადი დროზე სახლში!

კაცი ისევ ეკლესიაში შევიდა, პირჯვარი გადაიწერა და ღმერთს მიმართა:

– ღმერთო, დიდებულო, ძალიან დიდი მადლობელი ვარ, ფული რომ გამომიგზავნე, მაგრამ მეორედ რომ გთხოვო და გამომიგზავნო, ამას აღარ გამოატანო, რადგან ასი ლარი მომიტეხა!

* * *

ედუარდ შევარდნაძესთან მივიდა ყრუ–მუნჯი.

– რა გნებავთ? – შეეკითხა შევარდნაძე.

ყრუ–მუნჯმა ხელი ჯერ თვალებზე მიიდო, შემდეგ შარდის ბუშტზე დაიდო და შემდეგ საჯდომზე.

ბატონმა ედუარდმა ვერ გაიგო, რას თხოულობდა ყრუ–მუნჯი და ბატონი ჯაბა გამოიძახა, იქნებ შენ გაიგო რამეო.

– რა გნებავთ? – შეეკითხა ბატონი ჯაბა.

ყრუ–მუნჯმა იგივე გაიმეორა.

– გადი გარეთ! – ხელის მოძრაობით აჩვენა ჯაბამ და ჩაილაპარაკა: – არ მოუნდა კარგი ცხოვრება!

– რა მინდაო? – შეეკითხა ბატონი ედუარდი.

– თვალებზე ხელი რომ მიიდო – სინათლე მინდაო, შარდის ბუშტზე ხელი რომ დაიდო – წყალი მინდაო, საჯდომზე ხელი რომ დაიდო – გაზი მინდაო! – უპასუხა ბატონმა ჯაბამ.

* * *

გორელმა კაცმა ვირი ჩაიყვანა მოსკოვში. ბევრი ეძება და დასაბმელი ადგილი ვერა ნახა.

– ბოდიში, სად შეიძლება ვირი დავაბა? – შეეკითხა მილიციონერს.

– სადაური კაცი ხარ? – შეეკითხა მილიციონერი.

– გორელი!

– შე კაი კაცო, აქ ერთი გორელი კაცი იყო, მას ოცდაორი ვირიება კრემლში და შენ ერთი ვირი ვერსად დაგიბია? – გაიკვირვა მილიციონერმა.

* * *

– მოდით ერთხელ კახელიც ვცადოთ და პრეზიდენტად ავირჩიოთ! – დადგა საკითხი პარლამენტში.

სიტყვა ბატონმა ედუარდმა აიღო:

– ბატონებო და ქალბატონებო! მე წარმოშობით კახელი ვყოფილვარ, მაგრამ ჩემს მშობლებს გურიაში გავუშვილებივარ, ასე რომ სისხლით და ხორცით კახელი ვარ!

– კეფაზე წითელი ხალი ხომ არ გაქვს? – შეეკითხა ქალბატონი ლუიზა.

– კი, მაქვს!

– ძმაო, ედუარდ! – შესძახა ქალბატონმა ლუიზამ და გადაეხვია.

* * *

მიხოს კომუნისტურ პარტიაში იღებდნენ.

– კომუნისტური პარტიის წევრი რომ იქნები, სასმელი არ უნდა დალიო, სიგარეტი არ უნდა მოწიო, ქალებში არ უნდა იარო, თუ გაჭირდა პარტიისთვის თავი უნდა დადო! – გააფრთხილა პირველმა მდივანმა.

– ასეთი ცხოვრება თუ მექნება, ახლავე დავდებ თავს! – უპასუხა მიხომ.

* * *

მიხო კოლმეურნეობაში ტრაქტორზე მუშაობდა. ერთხელ რაიკომის პირველი მდივანი ჩამოვიდა, ხალხი შეკრიბეს და საპროტესტო მიტინგი ჩაატარეს.

– ხალხო, ამერიკელებმა ვიეტნამში ჯარები შეიყვანეს დაპყრობის მიზნით, ჩვენ პროტესტი უნდა განვაცხადოთ, რომ სასწრაფოდ გაიყვანონ ჯარები, თქვენ რას იტყვით?

სიტყვა მიხომ აიღო. მან თქვა:

– თუ ამერიკელები დროზე არ გაიყვანენ ჯარებს ვიეტნამიდან, ჩემთავად ტრაქტორზე დამჯდომის დედა ვატირე!

* * *

– მიხო, კახეთში ყველაზე კარგად რა ხარობს?

– მეგრელი და იმერელი! – უპასუხა მიხომ.

* * *

პოლიციელი სოსო ძმაკაცებთან ერთად „ბროწლიანის" სასადილოში ქეიფობდა. უცებ სასადილოში დიდი ძაღლი შემოვიდა: სოსომ ძაღლი რომ დაინახა, ელვის სისწრაფით წამოხტა, „დუბინკა" აიღო და ძაღლს სასიკვდილოდ სცემა, თან აგინებდა:

– მე შენი დედა ვატირე, როცა მე აქა ვარ, შენ არა გნახო, აქ ორ ძაღლს რა უნდა?!

შეკრიბა ი. კევლიშვილმა

– როგორ ხარ, მიშა?

– ვარ რა, ჭაში ჩავარდნილი ვედროსავით!

### კომპიუტერი

– გაიგე, ბალახვანში კომპიუტერი დაუდგამთ, რასაც ჰკითხავ, პასუხიც ზედვეა.

– კაი, კაცო, არ მჯერა!

– წამო ვნახოთ!

წავიდნენ.

ჩაუთქვა ბონდომ.

პასუხი: „მამაშენი გოგისვანიძეებში ქეიფობს".

– ი... შტერია ეს კომპიუტერი, მამაჩემი ორმოცდასამში დაიღუპა სტალინგრადთან.

– აბა, ერთი კიდევ სცადე, ოღონდ სხვა სიტყვებით უთხარი, შინაარსი იგივე იყოს.

კითხვა: „სადაა დედაჩემის ქმარი".

პასუხი: „დედაშენის ქმარი დაიღუპა სტალინგრადთან, მამაშენი გოგისვანიძეებში ქეიფობს".

### ახალი წელი

ზედ ახალი წლის წინა დღეებში (5–10 დეკემბერი) გოგი უმუშევარი დარჩა (მოხსნეს). უმუშევრობა უმუშევრობაა, ახალი წელი კი მაინც მოვიდა. ოჯახში სხვა ვერაფერი რომ ვერ გაახერხეს, საახალწლოდ ერთადერთი და უსაყვარლესი დედალის დაკვლა გადაწყვიტეს. გამოაძვრინეს ქათამი მე–7 სართულის აივანზე გამოკიდებული გალიიდან, გოგიმ დანაც მოიმარჯვა...

ქათამს ეტყობა დანის დანახვაზე ნერვიული სტრესები დაერთო, გაინძრა, გაიჯგიმა და... კვერცხი დადო.

– აუ, კვერცხი?! – თქვა გოგიმ.

– კვერცხი... – გაიხარეს ცოლმა და ბავშვებმა.

– არა!.. – თქვა გოგიმ, – მე ამისი დამკვლელი არა ვარ!

– მერე ახალი წელი? – ქალური შეკითხვა დასვა ნაზიმ.

– ა, დანა ჩემო ნაზი, მე დამკალი, ამან იცოცხლოს, ოჯახს შემომტანი მაინც დარჩება!..

### ლოზუნგომანია

– ოღონდ თავისუფალნი ვიყოთ და თანახმა ვართ ვიშიმშილოთ!

– რავა, ძამა, ისე არ ვშიმშილობთ თუ?!...




### რევოლუცია

შეხვდა ორი ყოფილი კომუნისტი, ყოფილი დიდი თანამდებობის პირი.

– ცუდადაა საქმე, – ამბობს ერთი.

– ჰო, ცუდადაა.

– მთლად დაინგრა ქვეყანა, ხალხი შიმშილობს, წესრიგი არაა.

– ჰო, მასეა.

– რევოლუციაა საჭირო!

– ჰო, საჭიროა.

– მოდი, ახალი პარტია ჩამოვაყალიბოთ

– ჩამოვაყალიბოთ.

– იდეოლოგიური პლატფორმა შევიმუშაოთ

– შევიმუშაოთ.

– ვიშოვნოთ.

– ხალხის მასებში გავიდეთ, ფართო ახსნა–განმარტებითი მუშაობა გავწიოთ და ადამიანები საბრძოლველად დავრაზმოთ.

გაჩუმდნენ. ერთხანს ორივეს კმაყოფილი სახე ჰქონდა, მერე უცებ მეორე მიუბრუნდა პირველს:

– კი მაგრამ...

– რა მაგრამ?!

– ისევ ჩვენ რომ გავიმარჯვოთ?

### კბილის პოლიკლინიკაში

ექიმი: რა არის ეს, სულ აღარ დაგრჩენია კბილები, ხიდია გასაკეთებელი, ასი ლარი დაგიჯდება.

პაციენტი: ხიდის ფული სად მაქვს?!.. 50 ლარს მოგცემ, ექიმო და ბოგირი გამიკეთე.

# ნუგზარ ფოფხაძე: პატიაშვილს ვგონებ კუდზე ჰყავდა გამობმული გუმბარიძე და ისე მიათრევდა წინ. ფაქტები? ინებეთ!

მეორე გვერდიდან

ჯობის ნაცვლად შეკითხვა მომაგება: თუ იცი, მითხარი, ვისი კაცია გუმბარიძეო?

სახტად დავრჩი! ასეთ დაძაბებებს და გულახდილ შეკითხვებს დიდი ხანია გადაჩვეული ვიყავი. ვუპასუხე: მთელმა საქართველომ იცის, რომ თქვენი კაცია. შვილს არა აქვს მამის იმდენი ვალი, რამდენიც მაგას თქვენი-მეთქი.

განაგრძო: ვერ გავიგე, რა ხდება? ეს ორი დღეა ერთი დავალება მივეცი და რაღაცას „თამაშობსო".

გავოცდი. ეტყობა, სახეზე ამ ამბის დაუჯერებლობა გამომეხატა. ამის საპასუხოდ პირდაპირი ტელეფონის ღილაკს ხელი დააჭირა და უმალ გაისმა გუმბარიძისთვის ჩვეული და მხოლოდ პატიაშვილისთვის განკუთვნილი შემპარავი, ტკბილი და მოწიწებით აღსავსე ხმა: გისმენთ, ჯუმბერ ილიჩ!

პატიაშვილმა მიკროფონით, ჩემს გასაგონად ჰკითხა, თუ რატომ არ შეასრულა ის (ეტყობოდა, მხოლოდ მათთვის ცნობილი) დავალება.

ჩემდა მოულოდნელად გაისმა გუმბარიძის შეცვლილი ხმა – ახლა უკვე ისეთი, განებივრებული ბავშვი რომ გაჯიუტდება და მამას ხმას რომ აუმაღლებს: ეგ დავალება უკანონოა და მე მაგას არ შევასრულებ!

აქ კი პატიაშვილმა ირონია ვერ დამალა: ახლა გახდა ასეთი დავალებები უკანონო?.. კარგი, კარგი, მე და შენ კიდევ გავსწორდებით!..

პატიაშვილი ახლა როგორ უსწორდება გუმბარიძეს, ეს თქვენი გაზეთის პუბლიკაციებიდანაც ჩანს. მაშინ გუმბარიძის მხრიდან „ხურდის დაბრუნების" ერთ შემთხვევას შევესწარი. შემდეგ საქართველოდან წავედი და მათი ურთიერთობის ბევრი არაფერი ვიცი.

...1989 წლის 18 მაისი. მოსკოვიდან ჩამოსულმა პირველმა საგამოძიებო კომისიამ ტარაზევიჩის მეთაურობით, მუშაობა დაამთავრა და შედეგების გასაცნობად ცკ-ს სათათბირო ოთახში შეგვკრიბეს. 30–40 კაცი ვიყავით – მაშინდელი ბიუროს წევრები, ვიცე-პრემიერები, ქალაქის ხელმძღვანელობა, აპარატის ხელმძღვანელები.

ზუსტად ერთი თვეა ამ შენობას არ გავკარებივარ. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ცკ-ს მდივნად ვითვლები და კიდევ კარგა ხანს მერქმევა ეს სახელი, სამსახურში აღარ დავდივარ. ჩემთვის ცალსახად გადაწყვეტილი მაქვს გაცლა. მაგრამ ჯერ მაინც ვალდებული ვარ ამ თათბირს დავესწრო. ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც მივიდოდი. ჩემი ინტერესიც მამოძრავებს...

პატიაშვილი მოვიდა და შეუმჩნეველ ადგილას დაჯდა. აშკარად ეტყობა, რომ ისიც პირველად არის აქ მას შემდეგ, რაც ცეკადან გაუშვეს თავს უხერხულად გრძნობს. ყველა ერიდება. ის ხალხიც კი, ვისზედაც გადაყოლილი იყო – ორი თავი არავის აქვს. არც სიბრალული, არც ზნეობა.

შემოდის გუმბარიძე. ყველა ფეხზე დგება პატიაშვილისა და ჩემს გარდა. მე „მეპატიება", ყველამ იცის, რომ „ავად" ვარ. პატიაშვილს დემონსტრაცია გამოუვიდა. რა ქნას, ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა „მდგომარეობიდან". გუმბარიძემ პატიაშვილის ამ „ჟესტს", რა თქმა უნდა, ჩაავლო. არა მარტო მან.

დაიწყო განხილვა. პატიაშვილი თანდათანობით გააქტიურდა. შეკითხვებს სვამს. რამდენჯერმე შეაწყვეტინა გამომსვლელებს. როლში შევიდა. ნელ-ნელა ტონალობაც შეეცვალა. დატუქსვაც დაიწყო. ერთი სიტყვით, ჩვენს თვალწინ ცეკას პირველ მდივნად „დაბრუნდა".

გუმბარიძე დამცინავად უმზერს ჯერ აცლის. და როცა პატიაშვილი მეტისმეტად „გახურდა", გუმბარიძემ უხეშად შეაწყვეტინა: თქვენ სად გგონიათო თავი, ამხანაგოო. შეიძლება ცენტრალურ კომიტეტში პარტიის წევრის ასეთი მოქცევა? ან ვინ გასწავლათ ხელმძღვანელ ამხანაგებთან ასეთი თავშეუკავებელი ლაპარაკი! ასეთ მოპყრობას რომ იყავით შეჩვეული, იმიტომაც დაგვემართეთ (!) ეს უბედურებაო და... ერთი სიტყვით, ისეთივე ლექცია წაუკითხა, როგორსაც ადრე თვითონ პატიაშვილი უკითხავდა სხვას. ოღონდ, ამჯერად ეს გაკეთდა უფრო ოსტატურად, დახვეწილად, მწარედ. იგრძნობოდა სკოლა.

პატიაშვილი გაშრა. ჩამოვარდა უხერხული, სამარისებური სიჩუმე. საბოლოო აკორდი გახლდათ გუმბარიძის მეტისმეტად მშვიდი, ხმადაბალი, თვითდაჯერებული ჩალაპარაკება – ნაძირალა!

ამ სცენის დადგმას, მგონი, რობიკო სტურუაც კი ვერ მოახერხებდა.

ბრავო, გუმბარიძე!

თუ მკითხველს ჩემს გულწრფელობასა და ინფორმირებაში ეჭვი არ ეპარება, მარტო ეს ორი ფაქტია საკმარისი იმისათვის, რომ აიხსნას პატიაშვილის დაინტერესება, საზოგადოებრივი აზრისათვის შემოეგდო „დეპეშების" თემა. ამჯერად ამით მინდა ეს თემა ამოვწურო. დასკვნა ყველამ თავისთვის გამოიტანოს.

პირადი დასკვნა კარგა ხანია გამოტანილი მაქვს. იგი ჩემთვის კი არის ჭკუის სასწავლებელი, მაგრამ შეიძლება ის სასარგებლო გამოდგეს დღევანდელი თუ ხვალინდელი „პატიაშვილებისა" და „გუმბარიძეებისთვისაც". მით უმეტეს, ამის სიმპტომებს ვამჩნევ. ამიტომ ამასაც გაუზიარებ მათ და მკითხველსაც – ვისაც როგორ გამოადგება, ისე გამოიყენოს.

გუმბარიძემ თავის „კერპთან" ისეთი პრაქტიკა გაიარა, რომ, როგორც სცენაზე ჩამოკიდებულმა თოფმა აუცილებლად უნდა გაისროლოს, ასევე ეს პრაქტიკა ოდესმე მისთვის სასარგებლოდ უნდა გამოყენებულიყო. გუმბარიძე პატიაშვილის მიერ დადგენილ ჩარჩოებში რომ აღარ ეტეოდა, ამას მხოლოდ ბრმა ვერ ამჩნევდა.

არავითარი ზნეობრივი მუხრუჭი მას უკვე აღარ გააჩნდა, რადგანაც იგი საბოლოოდ გაუცვდა გამზრდელისადმი „მადლიერების" მაგალითის ყოველდღიური ცქერით, რისთვისაც მას შორს წასვლა არ სჭირდებოდა. მანაც აირჩია ყველაზე ღირსეული ობიექტი – პატიაშვილი, რომლის დაუხმარებლადაც (რამეთუ ამას აღარ საჭიროებდა), მაგრამ სწორედ მის ხარჯზე, გააკეთა თავისი მორიგი და გადამწყვეტი სვლა.

ეს კლასიკაა!

ასეა, არ უნდა დაივიწყო მარტივი ჭეშმარიტებანი, თუნდაც მეოთხე კლასში ნასწავლი ლომის და კატის არაკი: ყველაფერი არ უნდა ასწავლო ლეკვს...

მადლობა პატიაშვილს მორიგი გაკვეთილისთვის!

ასევე, ყოველთვის უნდა გახსოვდეს კუსა და მორიელის ამბავიც: მორიელს რაც გინდა სიკეთე გაუკეთო, მაინც მორიელად რჩება.:

მადლობა გუმბარიძესაც!

ესაუბრა ბუბაზ მებრელიძე

გაგრძელება იქნება

## კაიფვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად: 1. კათოლიკური მონასტრის „ბატის" მსგავსი წინამძღვარი; 6. ზოგ დაწესებულებაში „ტორებიანი" პასუხისმგებელი, განმკარგულებელი; 7. მუსიკის დინჯად შესრულების ტემპი, რომელზეც არ უნდა „დაჯდე"; 8. „რიონში" ჩასაგდები „კირილეს" საეკლესიო სახელი; 11. მუსიკის „ვირულად" შემსრულებელი; 10. „ახირებული" საქონლის ჯგუფი; 13. „გაორებული" სამხედრო წოდება; 17. უდაბნოს „ხომალდი"; 19. „გიას" ჯადოქრობა; 20. „მორიდებული" საბურავი; 21. გერმანიის სამხედრო დაზვერვა, რომელსაც „ვერა" ხელმძღვანელობდა; 22. „აბოს" ჩატარებული მუცლის მოშლა; 25. „რალზე" გამოსული „ადამი"; 28. „ელენაზე" და „გიაზე" დაწერილი ლექსი; 31. „ნანის" და მაიმუნის საყვარელი ხილი; 32. ყვავილი, რომლითაც ბომბორამ კითხვა ისწავლა (მულტფ.); 34. „რიგელი" სპეკულანტი; 35. ის, რასაც კატები ვერ წვდებიან; 36. „კუს" ნაწლავიდან გაკეთებული საჭმელი; 37. მექსიკელების ველური „ვარდი" (რუსკავ.); 39. „შხამიანი" ტელესერიალი; 40. „ნალების" აღსარიცხავი წიგნი; 41. „რიფიანი" გადასახადი; 42. „გულიანი" რუსული მანქანა.

შვეულად: 1. აგიტატორის გაწჭული საქმე, რომელზეც „ტაციაობაა"; 2. ჯოჯოხეთის „ტაროიანი" მოციქული; 3. ინსპექტორთა „შაბათობა"; 4. ადამიანის „წამებში" მოძრავი ნაწილი; 5. მახრჩობელა „ანა"; 9. „გულიანი" კაცი, რომელიც ლილიპუტებში მოხვდა; 10. „ძალით" აშენებული მ/სადგური თბილისში; 12. ძალიან დიდი თოვლის „გუნდა"; 13. საიქიოს „ფოსტალიონი"; 14. „დონზე" მოგალობე „ია"; 15. დროებითი საცხოვრებელი „არაკი"; 16. კარებების „გენის" უძველესი სახელმწიფო; 18. საფრანგეთის მდინარე, რომელიც „უარზეა"; 23. „ფორთოხლისფერი" მდინარე აფრიკაში; 24. მოძრავი „სპორტი"; 26. ნიკარაგუას „ნარკოტიკული" დედაქალაქი; 27. „ტორებიანი" ნიანგი; 29. განსაზღვრული ვადით რაიმეთი სარგებლობის უფლების „პოლიციურად" დამადასტურებელი საბუთი (რუს.ჟარგ.); 30. ბილიარდის ჯოხი, რომელიც „გეთანხმება"; 33. „კატების" იურისტი; 38. ამირანის „სუპიჭამია" ძმა.

აკაკი ცოტაძე

### წინა კაიფვორდის პასუხები

თარაზულად: 5. იდენტური; 9. ანატომია; 15. კარამელი; 16. ალკოჰოლი; 17. ამფიბია; 18. ალიმენტი; 20. ტოიოტა; 23. ავიაცია; 25. იანკი; 27. პლაჩიდო; 29. კრემაცია; 30. ალოე; 32. ანათემა; 33. იარდი; 36. იდეა; 39. როსტოვი; 40. იარუსი; 42. ალბატროსი; 43. ლაზარეთი.

შვეულად: 1. საქონელი; 2. ექსპრესი; 3. ბაზილიკა; 4. ანალოგია; 6. დარვინი; 7. ნემსაძე; 8. რაიხი; 10. ნანა; 11. ტაშკენტი; 12. აკაცია; 13. გილიოტინა; 14. უნივერსიტეტი; 19. მაიამი; 21. იონი; 22. ბანალური; 24. აპარატი; 26. აკვარიუმი; 28. ჩალმა; 31. დინასტია; 32. ამური; 34. პერი; 35. ავრორა; 37. ბასტი; 38. ჟიური; 41. რიო.

## კროსვორდი



თარაზულად: 1. რაიმე უპირატესობის მიცემა თავისზე სუსტი მოწინააღმდეგისათვის; 3. ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი; 5. სამკურნალო პრეპარატი; 8. მდინარე აზიაში; 10. ტყავის თხელი ფენა რისამე ზედაპირზე; 12. პატარა ჩიტი, გავრცელებული ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში; 14. ალ.ყორყოლიანის ეკრანული სახე; 15. მდინარე ავსტრალიაში; 16. სოფელი დუშეთის რაიონში; 17. საქმის მწარმოებელი, სტაჟიორი, რომელიც ნოტარიუსად ემზადება (ბელგიაში, საფრანგეთსა და ჰოლანდიაში); 18. მწვანილი; 19. ერთ-ერთი ქალღმერთი რომაულ. ეგვიპტურ მითოლოგიაში; 21. ეკლესიიდან განდევნა. შეჩვენება; 22. ქალაქი რუსეთში, ივანოვოს ოლქში; 24. კატის მოყვითალო, წინწკლებიანი „ნათესავი"; 25. ქიმიური ელემენტი; 26. გარეგნული შესახედაობა; 27. ჯ.ვერდის ოპერა.

შვეულად: 1. უსულო საგანი, რომელსაც ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ და ეთაყვანებოდნენ პირველყოფილი ტომები; 2. გარიურაჟი; 3. ყვავილი; 4. თივის, ბზის, ძნის ასალები; 6. სამხედრო წოდება; 7. მდინარის ნაპირზე დამაგრებული მცურავი ნავმისადგომი; 9. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთში; 11. საეკლესიო მღვდელმსახურება – სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა; 12. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 13. მსხვილი კოლონიალური სახელმწიფო 18. ისეთი თევზია, მხოლოდ დამარილებულს მიირთმევენ; 20. დაუკოდავი ულაყი ცხენი; 23. დედნიდან ზუსტად გადაღებული ტექსტი; 24. პაკისტანის ეროვნული გმირი, „დიდი ბელადი", „ერის მამა".

ბ.ბასიტაშვილი

### წინა ნომრის პასუხები

თარაზულად: 1. ეკონომიკა; 4. ელეგია. 6. მარკეტი; 7. აი; 10. უი; 11. აა; 13. ეი; 14. იუდა; 15. კაკა; 16. ფა; 17. იი; 19. ია; 20. აუ; 23. აბზაცი; 25. აბორტი; 27. იზოლატორი.

შვეულად: 1. ეკალი; 2. ობიექტივი; 3. ადესა; 4. ელვა; 5. აზრი; 6. მალა; 7. იხვი; 9. ისარა; 10. უბირი; 12. ამარა; 13. ეპოქა; 16. ფენა; 18. იოდი; 19. იდეა; 21. უსხი; 22. ტელეგრამა; 24. ცენზი; 26. ბარგი.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის გენერალურ დირექტორს ბატონ რევაზ ფაჩულიას ახალ წელს ულოცავს პატარა მეგობარი 7 წლის რატი

ბაბუა რეზო! მე ახლა ვეებერთელა და ყველაზე ლამაზი თვითმფრინავი მაქვს. ჩემი ბაბუა და შენ ადვილად ჩაეტევით შიგ, თუ ჯინი ცოტათი დაგაპატარავებთ. ამ თვითმფრინავით დილიდან საღამომდე გადამყავს და გადმომყავს ჩემი ზოოპარკის ცხოველები. დიდი რომ გავიზრდები, მეც შენსავით გავახარებ ბავშვებს – ვუყიდი კარგ სათამაშოებს და ლამაზ წიგნებს.

ბაბუა რეზო! მინდა მრავალ კარგ ახალ წელს დაესწრო, რომ ყველას სიკეთე და სიხარული მოუტანო, ისე როგორც მე მარგუნე წილად სიკეთე და სიხარული.

რატი თეთბერიძე

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444